ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

4 აპრილიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
თომას მანი
ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება
ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




ორშაბათი, 4 აპრილი, 2016 №79 (67005) ფასი: 50 თეთრი

# „2012 წლის 1 ოქტომბერს თბილისში რუსული ტანკები უნდა შემოსულიყვნენ“

## მეგი გოცირიძე: „ივანიშვილის წყალობით საქართველოში სექსი და შიმშილია გამეფებული“

გვ.3

## ეროვნულმა ფორუმმა კოალიცია დატოვა

გვ.2

## გუბაზ სანიკიძე გადადგება?

## ვახტანგ ძაბირაძე: „მთავრობა არჩევნებამდე ამ შემადგენლობით მივა“

გვ.5

„შესაძლოა, არჩევნების წინ მინისტრთა კაბინეტის გადახალისება მოხდეს, მაგრამ ეს გადახალისება ოთხ მინისტრზე მეტი არ შეიძლება იყოს“

გვ.4

## პაატა ჯიბლაძე: „მომავალი პარლამენტი ჭრელი იქნება“

„ნაციონალები 2003 წლის გადატრიალების სცენარს ვერ გაიმეორებენ“

ISSN 1987-9385

## „იკითხე და მოიგებ!“ — წიგნის მოყვარულებისთვის უპრეცედენტო გათამაშება დაიწყო

„ამ ბოლო დროს წიგნის ჩუქება აქტუალური გახდა“

გვ.7

# ეროვნულმა ფორუმმა კოალიცია დატოვა

## გუბაზ სანიკიძე გადადგება?

შორენა მარსაგიშვილი

**ახლო მომავალში საპარლამენტო უმრავლესობა შესაძლოა დაიშალოს. პარტიები, რომლებმაც კოალიცია „ქართული ოცნება“ დატოვეს, საპარლამენტო უმრავლესობიდანაც გეგმავენ წასვლას. ამ საკითხს უკვე განიხილავენ რესპუბლიკელები, პირველი საჯარო განცხადება კი ეროვნულმა ფორუმმა გააკეთა.**

საპარლამენტო უმრავლესობიდან გასვლა-დარჩენის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას ფორუმელები დღეს, 4 აპრილს, გამოიტანენ. ერთი დღით ადრე მათ პარტიის ყრილობა გამართეს და კოალიციიდან წასვლას დაუჭირეს მხარი.

„ქართული ოცნების“ დატოვების შესახებ პირველი განცხადებები ფორუმელებმა გააკეთეს. ისინი ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულს აკეთებდნენ მინიშნებებს ამის შესახებ. ამ თემით ისინი მთავარ მეოცნებესთან ვაჭრობას აპირებდნენ, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, რესპუბლიკელებისა და მრეწველების ომმა ბევრი რამე შეცვალა.

ეროვნულ ფორუმს დაანონსებული ჰქონდა, რომ გადაწყვეტილებას აპრილში დაგეგმილ ყრილობაზე მიიღებდა. ყრილობამდე რამდენიმე დღით ადრე რესპუბლიკელებმა გააკეთეს კოალიციიდან გასვლის შესახებ განცხადება, რამაც ფორუმელები ძალიან გააბრაზა.

2012 წლის არჩევნებამდე გუბაზ სანიკიძე ძალიან აქტიური იყო. პარლამენტში მოხვედრის შემდეგ კი მისი ხმა არავის გაუგონია. არც სხვა ფორუმელები აქტიურობდნენ. ერთადერთი, ვინც მათგან ხმას იღებდა, ანი მიროტაძე იყო.

სანიკიძეს ივანიშვილთან ურთიერთობები დაეძაბა. მათ შორის დაპირისპირების მიზეზად ის აუდიოჩანაწერები სახელდება, რომლებიც 2012 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გამოაქვეყნეს. იმ ჩანაწერებში სანიკიძე ივანიშვილს არცთუ დადებით კონტექსტში მოიხსენიებდა. იმ ჩანაწერებზე მეოცნებეებმა თქვეს, სიყალბეაო, მაგრამ ფაქტია, რომ ამის შემდეგ დაეძაბათ მთავარ მეოცნებესთან ალასანიასა და სანიკიძეს ურთიერთობა.

სანიკიძეს ამ თემაზე არასდროს უსაუბრია. არც ივანიშვილი დაწვრილმანებულა ასე. კოალიციიდან წასვლის მიზეზად ფორუმი ფუნქციის გარეშე დარჩენას ასახელებს.

– კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი ფუნქცია ამოწურა. ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, კოალიცია დავტოვოთ და არჩევნებში დამოუკიდებლად მივიღოთ მონაწილეობა, – განაცხადა სანიკიძემ.

ყრილობამდე ფორუმელებმა სარეიტინგო გამოკითხვა ჩაატარეს. როგორც ანი მიროტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, გამოკითხულთა უმრავლესობა კოალიციიდან გასვლას უჭერს მხარს.

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა რევაზ შავიშვილმა კი მედიას სარეიტინგო გამოკითხვის კონკრეტული შედეგები გააცნო.

– წინასწარი მონაცემები ასეთია: 461 დელეგატიდან 360 დელეგატი მხარს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას უჭერს, 97 – საარჩევნო ბლოკში, ხოლო 4-მა თავი შეიკავა. კოალიციის დატოვებასთან დაკავშირებულ კითხვაზე 342 დელეგატი აფიქსირებს, რომ კოალიციიდან გავდივართ, 117 – ვრჩებით კოალიციაში, 2-მა თავი შეიკავა. ასეთია გამოკითხვის წინასწარი მონაცემები. ამ საკითხებზე ყრილობაზე მიდის კამათი. შემდეგ ჩატარდება ღია კენჭისყრა, სადაც საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ, – განუცხადა ჟურნალისტებს რევაზ შავიშვილმა.

ფორუმელთა თავყრილობაზე პარტიის ლიდერი კახა შარტავაც გამოჩნდა. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ის აღარსად გამოჩენილა. თავის დროზე შარტავამ საარჩევნო სიაში ჩასმაზეც უარი თქვა. როგორც ამბობენ, მას იმედი ჰქონდა, რომ „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი იქნებოდა.

4-წლიანი შესვენების შემდეგ შარტავა აქტიურ პოლიტიკაში გეგმავს დაბრუნებას.

ის კოალიციიდან მისი პარტიის გასვლას ნორმალურ მოვლენად მიიჩნევს, ამბობს, რომ ფორუმს კოალიციის წევრებისგან განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა, რაც შესაძლოა პოლიტიკური კრიზისის საფუძველი გამხდარიყო.

შარტავა პირობას დებს, რომ არჩევნებამდე დარჩენილ დროში მთავრობის, უმრავლესობის მუშაობას ხელი არ შეეშლება.

– არჩევნებამდე ჩვენ მშვიდად, წყნარად უნდა მივიდეთ და შევასრულოთ დანაპირები, რაც კოალიციას ჰქონდა. შეთანხმება იყო ოთხწლიანი – არჩევნებიდან არჩევნებამდე, რაც გულისხმობდა ხელისუფლების ეტაპობრივ ჩანაცვლებასა და ერთპარტიული პოლიტიკური სივრცის მრავალპარტიული შეჯიბრების არენად გადაქცევას, – აღნიშნა შარტავამ.

ყრილობის მიწურულს ფორუმმა კოალიციიდან გასვლის საკითხს კენჭი უყარა. სარეიტინგო კენჭისყრის მსგავსად, პარტიის წევრებმა „ქართული ოცნების“ დატოვებას დაუჭირეს მხარი.

ყრილობამდე გუბაზ სანიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თუ პარტია მმართველი გუნდიდან წავა, ის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას დატოვებს. მისივე თქმით, ფორუმი საპარლამენტო უმრავლესობასაც დატოვებს.

როგორც ჩანს, უმრავლესობიდან გასვლასთან დაკავშირებით უფრო რთულად არის საქმე, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა ერთი დღით გადაიდო.

ამის შესახებ ფორუმი განცხადებას დღეს, 4 აპრილს, გააკეთებს.

◆ ◆ ◆

ფორუმის ბედის გაზიარება მოუწევთ კონსერვატორებსაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ კოალიციიდან წასვლა არ უნდოდათ.

– ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით, რომ კოალიცია დაშლილიყო, მაგრამ, წინააღმდეგობის მიუხედავად, არის სუბიექტური და ობიექტური გარემოებები. პარტიებმა მიიღეს გადაწყვეტილება, დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. ეს მათი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. თანამშრომლობა იქნება მხოლოდ იმ პარტიებთან, რომლებიც ეთანხმებიან საქართველოს მოსახლეობის ნებას ევროპული კურსის შესახებ, – აღნიშნა საგანგებო ბრიფინგზე კონსერვატორების ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.

მისივე განცხადებით, ისინი საპარლამენტო უმრავლესობის დატოვებას არ აპირებენ. პარტია კონსულტაციებს მხოლოდ იმ პარტიებთან გამართავს, რომლებიც იქნება ხელისუფლებაში და მასთან დაკავშირებული.

– ჩვენ არ ვაპირებთ ოპოზიციაში წასვლას. კონსულტაციები შედგება იმ პარტიებთან, რომლებიც იქნებიან ხელისუფლებაში და მასთან დაკავშირებულნი. სხვანაირად ჩვენ კონსულტაციების დაწყებას არ ვაპირებთ. კონსულტაციებში ვგულისხმობთ, თუ რა ფორმით რა გადაწყვეტილებებს მივიღებთ. ეს ყველაფერი სამუშაო პროცესია. არჩევნებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი, ბევრი კომიტეტის გამართვა დაგვჭირდება და გადაწყვეტილებებს გაცნობებთ, – განაცხადა ძიძიგურმა.

ამ ეტაპზე გაურკვეველია მრეწველების ბედი. კოალიციის დატოვება, ალბათ, მათაც მოუწევთ, თუმცა გარკვეულ გარანტიებს მიიღებენ. გავრცელებული ინფორმაციით, მრეწველების რამდენიმე წევრი პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში შევა.

თავად პარტია „ქართული ოცნება“ არჩევნებზე ახალი სახეებით აპირებს გამოსვლას.

– პარტია წარადგენს ახალ სახეებს, შესაძლოა, იყოს ცნობადი და უცნობი სახეებიც, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელოვანია, ახალი სისხლი იყოს კომპეტენტური და თავის საქმის პროფესიონალი. ინფორმაცია ცვლილებებზე პარტიის ყრილობის შემდეგ გახდება ცნობილი, – განაცხადა კალაძემ.

როგორც ამბობენ, ამ ეტაპზე ბევრ ცნობად სახესთან მიდის მოლაპარაკებები. მეოცნებეები განსაკუთრებით არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებზე ნადირობენ.

საარჩევნო სიაში სპორტული სამყაროს წარმომადგენლებიც იქნებიან. თუ გავითვალისწინებთ, რომ მომავალი პარლამენტი ძალიან ჭრელი იქნება, თითო-ოროლა კუნთმაგარი კაცი ყველა პარტიას დასჭირდება.

## კვირიკაშვილმა ყარაბაღში შექმნილი ვითარების გამო საგანგებო სხდომა გამართა

**პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით სიტუაციის დეესკალაცია შესაძლებელი იქნება**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთიან ყარაბაღში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ძალოვან მინისტრებს, შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელ პირებსა და საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებს შეხვდა.

პრემიერ-მინისტრმა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებისგან მოისმინა ყველა ინფორმაცია, რომლებიც მთიან ყარაბაღში არსებულ ვითარებას უკავშირდება. გიორგი კვირიკაშვილმა შეშფოთება გამოთქვა სიტუაციის ესკალაციისა და საბრძოლო მოქმედებების განახლების გამო, რასაც მოჰყვა მსხვერპლი, მათ შორის მშვიდობიან მოსახლეობაში. პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით, შესაძლებელი იქნება სიტუაციის დეესკალაცია, რაც მნიშვნელოვანია მთელ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ნიუპოსტი

## ხათუნა სამნიძე: „კოალიციას დავტოვებთ, თუ თანამშრომლობა შეუძლებელი გახდება“

რესპუბლიკურ პარტიაში საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიციაში დარჩენის გადაწყვეტილების მიზეზებზე საუბრობენ და ამას ქვეყნის საგარეო კურსზე ზრუნვით ხსნიან.

როგორც პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე განმარტავს, გაერთიანებასა და მთავრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებენ, თუკი თანამშრომლობა შეუძლებელი გახდება.

– ჩვენი გასვლით რომ არ გაჩნდეს კითხვები ქვეყნის საგარეო კურსზე ან ქვეყნის სტაბილურობაზე, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, არ დავტოვოთ კოალიცია, იგულისხმება სამთავრობო პოზიციები და უმრავლესობა პარლამენტში და ეს გავაკეთოთ მხოლოდ მაშინ, თუ თანამშრომლობა შეუძლებელი გახდება, – განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

ნიუპოსტი

## ელენე ხოშტარია: „რუსეთმა, შესაძლოა, საჰაერო სივრცე მოგვთხოვოს“

**„ჩვენთვის ეს დღეს უკვე არის სერიოზული უსაფრთხოების გამოწვევა, პირველ რიგში, რუსეთის იმ შესაძლო ქმედებების გამო, რომლებსაც რუსეთი მოიმოქმედებს ამ კონფლიქტში“**

მთიან ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ქართველი ექსპერტები კომენტარებს აკეთებენ. მათი განცხადებით, ომის დაწყების შემთხვევაში საქართველო არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდება:

– ჩვენთვის ეს დღეს უკვე არის სერიოზული უსაფრთხოების გამოწვევა, პირველ რიგში, რუსეთის იმ შესაძლო ქმედებების გამო, რომლებსაც რუსეთი მოიმოქმედებს ამ კონფლიქტში. შესაძლოა, მოგვთხოვონ საჰაერო სივრცე ან ჩვენი ტერიტორია, რომ გიუმრის ბაზა გაამაგრონ ან რაღაცა ტიპის სამხედრო მოქმედებები მოიმოქმედონ. ამიტომ ჩვენ დღეს უნდა ვიყოთ დაკავებული არა პირადი ცხოვრების ნაგავში ქექვით, არამედ სერიოზული უსაფრთხოების გამოწვევით, რომელიც გვაქვს, – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს რეფორმების ასოციაციის დამფუძნებელმა ელენე ხოშტარიამ.

ნიუპოსტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „2012 წლის 1 ოქტომბერს თბილისში რუსული ტანკები უნდა შემოსულიყვნენ“

შორენა მარსაგიშვილი

## მეგი გოცირიძე: „ივანიშვილის წყალობით საქართველოში სექსი და შიმშილია გამეფებული“

**რა საიდუმლო ინფორმაცია გაამჟღავნა გოგი თოფაძემ, რომელი ქოცი დეპუტატი სთხოვდა ნაციონალებს სიაში ჩაწერას, ვის გაიყვანს ივანიშვილი პარლამენტში, გამონახავენ თუ არა საერთო ენას ნაციონალები და რესპუბლიკელები? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი, ნაციონალი მეგი გოცირიძე ესაუბრება.**

**მეგი გოცირიძე:**

– მთელი ეს პერიოდი, რაც ქოცები ხელისუფლებაში მოვიდნენ, გვესმის, რომ ნაციონალები რადარებიდან გაქრნენ. იგონებდნენ ათას ჭორებს ჩვენს გუნდში არსებულ დაპირისპირებაზე, პარტიის რამდენიმე ლიდერი დააპატიმრეს, სააკაშვილზე ძებნა გამოაცხადეს და ქვეყანაში არ უშვებენ. ამის მიუხედავად, ვერაფერი დაგვაკლეს. ქოცებისგან განსხვავებით, ჩვენ რიგები იზრდება, ამ უბედურებს კოალიცია თავზე ჩამოემხოთ, შემოდგომაზე კი შარშანდელი თოვლივით გაქრებიან და ქვეყანაც დაისვენებს.

დღეს ერთი ამბები და განხილვები მიდის იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ტოვებენ კოალიციას მასში შემავალი სუბიექტები. ეს რომ ასე მოხდებოდა, ამას დიდი ექსპერტობა და ნათელმხილველობა არ სჭირდება. ამის შესახებ ჯერ კიდევ 2012 წელს განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მისთვის გაწერილი სცენარით იყო გათვალისწინებული.

***– რა სცენარზე საუბრობთ?***

– იმ სცენარზე, რომელიც ივანიშვილს რუსებმა დაუწერეს და რომლითაც ხელისუფლებაში მოვიდა. მართალია, ამ კაცს პოლიტიკისა არაფერი გაეგება და ჩამოყალიბებული ხიხოა, მაგრამ მაგარი ვერაგია. მრჩევლებიც ასეთებივე ჰყავს და ვერაგულ სცენარებს უწერენ.

ქვეყანაში პროცესები ახლაც ამ სცენარით მიმდინარეობს. მე გაგახსენებთ ივანიშვილის რამდენიმე განცხადებას. მან თქვა, რომ ხელისუფლებაში მოსასვლელად ყველა გამოიყენა. თქვა, რომ შუა უნდა გაიკრიფოს და ამით პრორუსულ ძალებს მოუსუფთავა პოლიტიკური ველი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის განცხადება იყო, სადაც ამბობს, რომ თავად შექმნიდა ოპოზიციას, რომელიც არსებულ ხელისუფლებას დაუპირისპირდა.

***– თქვენი აზრით, კოალიციიდან პარტიებს ივანიშვილი იმიტომ უშვებს, რომ ხელისუფლებასთან როგორც ოპოზიცია, ისე დააპირისპიროს?***

– კოალიციიდან ამ ბალასტს სხვა მიზეზით უშვებს. მოსწყინდა მაგათი ატანა და მოიშორა. იცის, რომ არჩევნებზე ცოტა ხმას მიიღებს და ამიტომაც ცდილობს, საარჩევნო სიაში მხოლოდ თავისი ხალხი ჩაწეროს.

მის მიერ შექმნილ ოპოზიციას როცა ვამბობ, მხედველობაში პატრიოტთა ალიანსი მყავს. ეს პარტია ივანიშვილის დავალებებით მოქმედებს და მისივე დახმარებით ისინი პარლამენტში მოხვდებიან. ამის სანაცვლოდ პატრიოტთა ალიანსსაც მოუწევს რაღაცა პირობების შესრულება. ივანიშვილის დავალება მათ ნაწილობრივ უკვე შეასრულეს.

***– რა დავალება შეუსრულეს?***

– რესპუბლიკელების წინააღმდეგ ბრძოლაში ირმა ინაშვილმა და მისმა ობიექტივმა დიდი სამუშაო შეასრულეს. მათ კუთვნილ ტელევიზიაში 24 საათი რესპუბლიკელების ლანძღვა მიდის. რეგიონებში, ობიექტივის გარდა, ფაქტობრივად არაფერს უყურებენ და ხალხს დასანახად აღარ უნდა რესპუბლიკელები. მათ არც აქამდე ჰქონდათ რეიტინგი, მაგრამ ივანიშვილის ნაკურთხმა ინაშვილის შავმა პიარმა ეს პარტია საერთოდ გააუბედურა.

***– თუ ივანიშვილი და ინაშვილი ერთად არიან, მაშინ რატომ მოხდა ისე, რომ საგარეჯოს არჩევნებზე პატრიოტთა ალიანსმა გამარჯვება ვერ მოიპოვა?***

– იმიტომ ვერ მოიპოვა, რომ ეს სცენარიც წინასწარ იყო დაწერილი. არჩევნები მცირე უპირატესობით რესპუბლიკელების კანდიდატს უნდა მოეგო, რასაც ინაშვილის მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვებოდა. არც ისაა შემთხვევითი, პროკურატურამ ამ საქმის გამოძიება რომ დაიწყო.

***– პროკურატურამ დაადგინა, რომ კანონი არ დარღვეულა.***

– კანონი მართლაც არ დარღვეულა. თინა ხიდაშელმა რაც გააკეთა, ამის უფლება ჰქონდა. იმ არჩევნებზე მეც ვიყავი საგარეჯოში, ჩემი ახლობელი დამოუკიდებელი კანდიდატი იყო და იქ ვცხოვრობდი ერთი თვე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სუსი ორად იყო გაყოფილი. აზერბაიჯანულ სოფლებში მიდიოდნენ და ხალხს სთხოვდნენ, ხმა თამარ ხიდაშელისთვის მიეცათ, ქართულ სოფლებს კი ინაშვილის მხარდაჭერას აიძულებდნენ.

საგარეჯოს პოლიციის უფროსმა, ეტყობა, გეგმიდან გადაუხვია. ინაშვილმა მას ხელები უბრახუნა, ერთიორი განცხადება გააკეთა და ის კაცი სამსახურიდან გაუშვეს. ესეც ნათელი მაგალითია იმისა, რომ ივანიშვილი და ინაშვილი ერთად არიან, რესპუბლიკელები კი მარტონი დარჩნენ.

***– ამბობენ, რომ მათ შესაძლოა ნაციონალებთან შექმნან ალიანსი. ამაზე გსმენიათ რამე?***

– ამაზე არაფერი მსმენია. ეგენი ერთხელ უკვე იყვნენ ჩვენთან ალიანსში. ჩვენ გავიყვანეთ პარლამენტში და აქეთ დაგვიწყეს ლანძღვა. უმადურობა და გადაგდება მათი სტილია. იმისთვის, რომ ვინმესთან ალიანსი შექმნა, რაღაც საერთო უნდა გქონდეს. ჩვენ რესპუბლიკელებთან არანაირი საერთო არ გვაქვს.

***– ამის მიუხედავად, მათთან ალიანსში ერთხელ უკვე იყავით.***

– მაშინ სხვა სიტუაცია იყო. 2003 წელს ყველა შევარდნაძის წინააღმდეგ გავერთიანდით. ახლა ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა შევქმნათ რესპებთან ერთად ალიანსი.

***– ისინიც და ნაციონალებიც პროდასავლურ ძალად ითვლებით. ეს არ არის საკმარისი მიზეზი?***

– ჩვენ ნამდვილად ვართ პროდასავლური ძალა. ვინც რესპუბლიკელებს პროდასავლურობა დააბრალა, იმას ბრტყელტუჩათი ენა უნდა ამოაგლიჯო ძირში. როგორ შეიძლება, მე და პაატა ზაქარეიშვილი ორივე პროდასავლურები ვიყოთ? ეს კაცი აზროვნებს, როგორც რუსეთის პრეზიდენტი. ერთხელ გითხარით კიდევაც ინტერვიუში, რომ ის და პუტინი ერთმანეთის ტყუპისცალები არიან.

პუტინის აზროვნება აქვთ ხიდაშელსა და ბერძენიშვილებსაც. მათთვის პრობლემა არ არის, თუ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს არ დაუბრუნდება. ჩვენთვის ტერიტორიული მთლიანობაა მთავარი. ასეთ ძალასთან ალიანსის შექმნა ძალიან გაგვიჭირდება.

რესპუბლიკელებს ერთი საოცარი თვისება აქვთ. მათ იოლად შეუძლიათ იმ ძალასთან საერთო ენის გამონახვა, ვინც მათ ხელისუფლებაში მოიყვანს. თავად ამის რესურსი არ აქვთ. პარტიას 30 წლის ისტორია აქვს და 3%-ზე მეტი მხარდამჭერი არ ჰყავს. თუ ვინმე არ გამოიჭირეს, თავიანთ უსუსურობაში შემოდგომაზე დარწმუნდებიან. ჩვენთან ჩაგრულები უყვართ, ეს პარტიაც ჩაგრულის მანტიით შეიმოსა და ამის ხათრით შესაძლოა 0.5% წაემატოთ.

კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებსაც იგივე მოუვათ. საარჩევნო ბარიერის გადალახვა მხოლოდ პარტია „ქართულ ოცნებას“ შეუძლია. ის რამდენიმე პრორუსულ ძალასთან გამონახავს საერთო ენას და პარლამენტში ახალ ალიანსს შექმნიან.

***– პრორუსულ ძალებში ვის გულისხმობთ?***

– ინაშვილი უკვე გითხარით. ჩერნოვეცკი და პაატა ბურჭულაძეც შემთხვევით არ გამოჩენილან. მათ ძალიან დიდი ფული აქვთ და ამ ფულით შეეცდებიან არჩევნების მოგებას. ქოცების უნიათო მმართველობამ ეკონომიკა დააქცია. ხალხს უკიდურესად უჭირს. გაჭირვებული ადამიანის მოსყიდვა კი ბევრად ადვილია

***– პაატა ბურჭულაძეზე ამბობენ, რომ ის თქვენს თამაშს თამაშობს. მავანის მტკიცებით, პოლიტიკაში იმიტომ მოვიდა, რომ სააკაშვილმა რაღაცით დაამშვიდაო.***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ილია II-მ ევროკომისარს ევროპაში მყოფი ქართველი არალეგალების ლეგალიზაცია სთხოვა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოში ვიზიტად მყოფი მიგრაციის, საშინაო და მოქალაქეობის საკითხებში ევროკომისარი დიმიტრი ავრამოპულოსი საპატრიარქოში თანმხლებ პირებთან ერთად მიიღო და მას საქართველოს ვიზის ლიბერალიზაციის საკითხში დახმარების თხოვნით მიმართა.

კერძოდ, ილია II-მ ევროკომისარს ევროპაში მყოფი ქართველი არალეგალების ლეგალიზაცია სთხოვა.

– ჩვენ გვაქვს ერთი თხოვნა თქვენთან. ამ პერიოდში მრავალი ქართველი ახალგაზრდა წავიდა ევროპაში და არალეგალურად ცხოვრობენ იქ. ეს ართულებს მათ ცხოვრებასაც და ჩვენს ცხოვრებასაც. მათ არ შეუძლიათ თავისუფლად მიმოსვლა სამშობლოში. ამ არალეგალებმა ლეგალიზაცია უნდა მიიღონ. თუ შესაძლებელი იქნება ეს გაკეთდეს, ჩვენ ძალიან მადლობელი ვიქნებით. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ასეთ მაღალ თანამდებობაზე მართლმადიდებელი ადამიანი ბრძანდება, – განაცხადა პატრიარქმა.

ილია II-მ ევროკომისართან შეხვედრაზე საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზეც გაამახვილა ყურადღება და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო ვიზის ლიბერალიზაციას მალე მიიღებს.

– ჩვენ გვაქვს დიდი სურვილი, რომ საქართველო იყოს ევროპის დემოკრატიული სტრუქტურების წევრი. ჩვენ მადლობელი ვართ, რასაც თქვენ აკეთებთ საქართველოსთვის. საქართველოს სჭირდება თქვენი დახმარება. ჩვენ არ გვაქვს აღდგენილი ტერიტორიული მთლიანობა. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არის ღია ჭრილობა საქართველოს სხეულზე და ჩვენთვის ეს დიდი ტკივილია, – განაცხადა პატრიარქმა შეხვედრაზე.

მედიანიუსი

# გიორგი მარგველაშვილი: „ამერიკისგან კიდევ ერთხელ მივიღეთ მხარდაჭერა“

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ვაშინგტონში ბირთვული უსაფრთხოების სამიტს მსოფლიო და გლობალურ გამოწვევებზე დიალოგის უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობა უწოდა.

– ჩვენ წარმოვადგინეთ საქართველოს პოზიცია, რომელიც არის ძლიერი იმიტომ, რომ რეალურად საქართველო არის ერთერთი წამყვანი ქვეყანა ბირთვული ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, ბირთვული მასალების უკანონო გატანა-ტრანზიტის აღკვეთის თვალსაზრისით.

ბუნებრივია, იმ ფონზე, რომელიც სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში არსებობს, როდესაც ჩვენი ოკუპირებული ორი ტერიტორია ფაქტიურად ვერ კონტროლდება ამ თვალსაზრისით და, ამასთანავე, რომლიდანაც ჩვენ გვაქვს დიდი ეჭვი, რომ ხდება ამ ბირთვული ნარჩენების უკანონო გატანა-ტრანზიტი. აი ამ ფონზე, საქართველო მაინც არის ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი ქვეყანა, რომელიც რეგიონის სხვა ქვეყნებს უწევს კონსულტაციას ამ მიმართულებით. მე ვარ ამაყი, რადგან ჩვენ ქვეყანა ამ თვალსაზრისით იქნა გამოყოფილი და დაჯილდოებული საკუთარი წარმატებების გამო, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ვაშინგტონში მედიასთან შეხვედრისას.

პრეზიდენტმა სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებთან გამართული ორმხრივი შეხვედრების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ იგი შეხვდა უნგრეთის, ნორვეგიის, ჰოლანდიის, პოლონეთის და ევროკავშირის წარმომადგენლებს.

– ბუნებრივია, ლიდერებთან ვისაუბრეთ იმ მნიშვნელოვანი ეტაპების შესახებ, რომელიც საქართველოს წინაშე დგას და ეს არის, ერთი მხრივ, ჩვენი ვიზალიბერალიზაციის პროცესი, ხოლო მეორე მხრივ ეს არის ვარშავის ნატოს სამიტი.

მინდა მოგახსენოთ, რომ ამ ქვეყნების ლიდერების, ევროკავშირის შემთხვევაში ბატონი ტუსკისა და ქალბატონი მოგერინის მხრიდან, მე ვნახე საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის მყარი მხარდაჭერა; აბსოლუტური მხარდაჭერა იმ მიზნების, რომელიც საქართველოს აქვს. მე შევხვდი ადამიანებს, რომლებიც ისევე ფიქრობენ მომავალზე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, იზიარებენ იმავე ღირებულებებს და პარტნიორობის ხელს გვიწვდიან მომავალთან მიმართებით.

ბუნებრივია, აქ ჩვენ შევხვდით არაერთ ამერიკელ პოლიტიკოსს; მათთანაც ფაქტიურად იგივე საკითხებზე გვქონდა საუბარი. განვიხილეთ, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული განვითარების აქტიური თანადგომა, კიდევ ერთხელ მივიღეთ მხარდაჭერა, რომ საქართველო უფრო აქტიურად იყოს წარმოდგენილი ვაშინგტონის პოლიტიკურ დღის წესრიგში.

მე ვხედავ, რომ გარკვეული საკითხები, რომლებზეც აქტიურად ვსაუბრობდით, მაგალითად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უპირობო მხარდაჭერის თაობაზე, ახლა მზადდება ძალიან საინტერესო რეზოლუცია ამასთან დაკავშირებით.

ვაშინგტონში შეხვედრებისას ბუნებრივია, შევეხეთ კიდევ სხვა საკითხებს, რომელიც არსებობს ქართულ-ამერიკულ დღის წესრიგში. შეჯამების სახით მინდა გითხრათ, რომ შეხვედრებზე, რომლებიც გაიმართა ამერიკულ მხარესთან, იყო ხაზგასმული ერთი მნიშვნელოვანი პოზიცია, საქართველო უფრო აქტიურად უნდა იყოს ამერიკულ დღის წესრიგში და ორმხრივი ქართულ-ამერიკული ურთიერთობები უნდა გაძლიერდეს და გაღრმავდეს. აი ამ შედეგებით ჩვენ ვასრულებთ მუშაობას ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მედიანიუსი

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# პაატა ჯიბლაძე: „მომავალი პარლამენტი ჭრელი იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი

საპარლამენტო არჩევნებში გაერთიანება „ქართული ოცნების“ პარტიების ცალ-ცალკე მონაწილეობას საზოგადოება უკვე შეეგუა. ამჟამად განხილვის თემებია კრიზისი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს საპარლამენტო უმრავლესობის დაშლას და ოპოზიციაში გადასული რესპუბლიკელების მთავრობის პოსტებზე დარჩენა. ექსპერტების უმრავლესობა შექმნილ ვითარებაში შეუძლებლად მიიჩნევს რესპუბლიკელი მინისტრების ყოფნას საკვანძო თანამდებობებზე. „მემარცხენე ალიანსის“ პოლიტიკური მდივანი პაატა ჯიბლაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ რესპუბლიკელები თავიანთ თანამდებობებს არჩევნებისათვის გამოიყენებენ.

## „ნაციონალები 2003 წლის გადატრიალების სცენარს ვერ გაიმეორებენ“

**პაატა ჯიბლაძე:**

– რესპუბლიკელებს მთავრობაში ჰყავთ მინისტრები, მათი მოადგილეები, სხვა მოხელეები. გასაკვირიც იქნება, რომ მათ ეს რესურსი საარჩევნოდ არ გამოიყენონ. სხვა საქმეა, არჩევნებში გამარჯვების ვის როგორი შანსი აქვს. არ არის გამორიცხული, რომ პარტიები დაშლილი მმართველი კოალიციიდან პარლამენტს მიღმა დარჩნენ. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკური პარტია ის ძალაა, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის იყო წარმოდგენილი ხელისუფლებაში.

***– პარლამენტში ისინი ყოველთვის არ იყვნენ.***

– რესპუბლიკელები სხვადასხვა ფორმით მუდმივად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში. ისინი შედიოდნენ სამხედრო საბჭოში. რესპუბლიკური პარტიის წევრები ადრეც იყვნენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში სხვადასხვა თანამდებობაზე, ასევე – თვითმმართველობებშიც. სხვა პარტიები და პოლიტიკოსებიც, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ შეიყვანეს, სულ პოლიტიკურ არენაზე ტრიალებდნენ. მაგალითად, ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლამდე ნაციონალური მოძრაობის ბლოკში სააკაშვილს, რესპუბლიკელების გარდა, გვერდით ედგნენ ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი, ასევე რეზო შავიშვილი, რომელიც შემდეგ ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ეს ის ხალხია, რომლებმაც ქვეყანას ვერაფერი შემატეს, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ ერთი დიდი საქმე გააკეთა.

***– რომელი საქმე?***

– სააკაშვილის მოშორება და მისი სისხლიანი რეჟიმის დამთავრება. კარგია, რომ ამ იდეის გარშემო 2012 წელს მოხდა გაერთიანება, მაგრამ ამ კოალიციამ თავისი თავი დიდი ხანია ამოწურა. შეუძლებელია, ერთად იყვნენ მემარცხენე ცენტრისტები და მემარჯვენეები, ასევე ულტრალიბერალები და კონსერვატორები. „ქართული ოცნების“ კოალიციის დაშლა გარდაუვალი იყო და ეს ადრეც უნდა მომხდარიყო.

***– როგორ აისახება ეს მომავალ პარლამენტზე?***

– ამა თუ იმ სუბიექტის შანსებზე პროგნოზის გამოთქმა შესაძლებელი იქნება ორ-სამ თვეში, როცა მოხდება ახალი ბლოკების შექმნა. უდავოა, რომ პირველი ადგილი უკავია პარტია „ქართულ ოცნებას“, მიუხედავად იმისა, რომ მისი რეიტინგი შემცირდა. მომავალი პარლამენტი აუცილებლად იქნება ჭრელი.

***– კეთდება განცხადებები იმაზე, რომ რესპუბლიკელების მინისტრებად დარჩენას ანტისახელმწიფოებრივი მიზნები აქვს. გადამდგარი მოხელე სანდრო ბრეგაძე ირწმუნება, რომ რესპუბლიკელი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ჯარით შეეკვრება ნაციონალებს, რომლებიც არჩევნების დროს ან არჩევნების შემდეგ ქუჩაში საპროტესტოდ გამოვლენ.***

– თუ სანდრო ბრეგაძეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები აქვს, გაასაჯაროს. დარწმუნებული ვარ, რომ ჯარს პოლიტიკური, მით უმეტეს, ანტისახელმწიფოებრივი მიზნებისათვის ვერავინ გამოიყენებს. პოლიტიკური რევანში და გადატრიალება, ალბათ, შედის ნაციონალური მოძრაობის მიზნებში, მაგრამ ახლა სხვა დროა.

***– ანუ 2003 წლის სცენარი ვერ გამეორდება?***

– დიახ, ვერ გამეორდება. ახლა სხვა რეალობაა. ნაციონალებს იმდენი ადამიანი ჰყავთ გამწარებული, რომ ხალხი მათკენ არ მიიხედავს, მით უმეტეს, მათ დაძახილზე ქუჩაში არავინ გამოვა. ჩვენ დავინახეთ, რისი თავი აქვს ნაციონალურ მოძრაობას. ამ პარტიის ბოლოდროინდელი საპროტესტო აქცია დაახლოებით 120-კაციანი იყო. ასეთი პარტია რისი მომწყობია!

***– ნაციონალური მოძრაობის გაუქმების მიზნით სარჩელის შეტანა გადაიფიქრეთ?***

– არა. სარჩელს იურისტებთან ერთად ვამზადებთ. მას სკრუპულოზურად უნდა შედგენა. სარჩელი ისეთი უნდა იყოს, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ თავის გამართლება ვერ შეძლოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც ასეთი სარჩელი უნდა შევიდეს, ისევ სააკაშვილის ხალხია. ამიტომ სარჩელს გულმოდგინედ ვამუშავებთ.

# ტაქსების სექტორში რეგულაციები მზადდება

– მინიმალურად აუცილებელი რეგულაციებით დავიწყებთ, რათა ეტაპობრივად მდგომარეობა მოვაწესრიგოთ ტაქსების სექტორში, – განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ტაქსებზე რეგულაციების შემოღების საკითხის კომენტირებისას.

ნარმანიას თქმით, თბილისელები აქტიურად ითხოვენ იმას, რომ ტაქსების სფეროში არსებული განუკითხაობა მოწესრიგებულ იქნეს და ეს ყველაფერი რეგულაციების ქვეშ მოექცეს, ისევე, როგორც ძალიან ბევრ თანამედროვე ქალაქშია.

– მნიშვნელოვანია, რომ ავტომანქანები, რომლებიც ტაქსებზე მუშაობენ, ტექნიკურად გამართულები იყვნენ, ამიტომაც ზოგადად, როდესაც ქვეყანაში ტექნიკური დათვალიერება იქნება შემოღებული, ამ პერიოდისთვის მაქსიმალურად აქტიურად ვიმუშავებთ იმაზე, რომ ავტომანქანები, ერთი მხრივ, ტექნიკურად გამართულები იყვნენ, მეორე მხრივ კი სალონში იყოს ნორმალური მდგომარეობა, რათა მგზავრობა იყოს კომფორტული, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერის თქმით, ყველა ტაქსი უნდა იყოს აღრიცხული და უნდა არსებობდეს ინფორმაცია, თუ ვინ მართავს ამა თუ იმ ტაქსს.

– მოთხოვნა იქნება შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, როგორიცაა ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ და ა.შ. ანუ მინიმალური აუცილებელი რეგულაციებით დავიწყებთ, რათა მდგომარეობა მოვაწესრიგოთ და სოციალურად ეს არ აისახოს იმ ადამიანებზე, რომელთათვისაც ტაქსის მძღოლობა ერთადერთი შემოსავალია. ამიტომ ვიმუშავებთ არა ხისტად, არამედ ეტაპობრივად, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

ყველა დეტალი დაზუსტებული არ არის ამ ეტაპზე და არსებობს მხოლოდ ძირითადი რეგულაციები. როგორც თბილისის მერმა აღნიშნა, ექსპერტები და სპეციალისტები საკითხზე მუშაობას აგრძელებენ და დამატებითი საკითხების დაზუსტების შემდეგ აღნიშნული საკითხი უკვე ფართო სამსჯავროზე გამოვა.

**ბიბიენი**

# საკრებულოსთან მოსახლეობამ აქცია გამართა

თბილისის საკრებულოსთან ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ორგანიზებით დედაქალაქის სხვადასხვა უბნის მცხოვრებლების აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა თბილისის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე ცათამბჯენების მშენებლობასა და რეკრეაციულ ზონებში სამშენებლო ნებართვების გაცემაზე მორატორიუმის გამოცხადება მოითხოვეს და თავიანთ დასახლებებში არსებულ პრობლემებზე მიუთითეს.

– გაუსაძლისია ჩვენს რაიონში და საერთოდ მთელ თბილისში ცხოვრება. არც მზე გვაქვს, არც გზები გვაქვს, არც გამწვანება, – აღნიშნა აქციის მონაწილე ნანა მახარაძემ.

„დემოკრატიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელ ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, თბილისში ურბანული თვალსაზრისით ისედაც ძალიან მძიმე მდგომარეობაა და დამატებით შენობების აგება დანაშაულის ტოლფასია.

– ჩვენი ორი კატეგორიული მოთხოვნაა, რომ საკრებულომ და მერიამ ახალი გენერალური გეგმის დამტკიცებამდე გამოაცხადონ მორატორიუმი მრავალსართულიან მშენებლობაზე და რეკრეაციულ ზონებში აღარ გაიცეს მშენებლობის ნებართვები, რომ არ შეიცვალოს ამ ზონების სტატუსი. ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ქალაქში გადაადგილება, მზის შუქის ხილვა შეუძლებელია და კიდევ ახალი დამატებითი ბეტონის მონსტრების აშენება არის პირდაპირი დანაშაული, – განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

აქციაზე აკადემქალაქის, დიღმის მწვანე სკოლის, ვარკეთილისა და თბილისის სხვა უბნების მცხოვრებლები იმყოფებოდნენ. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, საპროტესტო გამოსვლები მათი მოთხოვნების შესრულებამდე, პერმანენტულად გაგრძელდება.

**მედიანიუსი**

# „2012 წლის 1 ოქტომბერს თბილისში რუსული ტანკები უნდა შემოსულიყვნენ“

**დასაწყისი მე-3 გვერდზე**

– დაშანტაჟება ქოცების სტილია. მთელი ეს წლები იძახდნენ, რომ ნაციონალები ხალხს უთვალთვალებენ. გინახავთ, ჩვენს დროს ერთი ფირი რომ მაინც გამოქვეყნებულიყო? ამათი მოსვლის შემდეგ კი ქვეყანა ამ საზიზღარმა ფირებმა წალეკა.

სამართლიანობა ჩემთვის უმთავრესია და ვკითხულობ, რატომ არ დასაჯეს ის პირები, რომლებიც უკანონოდ ახორციელებდნენ ხალხის თვალთვალს?! ეს ადამიანები დღესაც თავიანთ ადგილებზე სხედან. გინდათ პასუხი, თუ რატომ არ იძიებს ხელისუფლება ამ საქმეებს? იმიტომ, რომ თავის დროზე ივანიშვილმა შეგვიძინა ის აპარატურა, რომლითაც მოსმენა და თვალთვალი ხორციელდებოდა. ვაღიარებ, რომ ეს იყო დანაშაული და ჩვენ ასეთი რამე არ უნდა დაგვეშვა, მაგრამ ამათ რატომ არ გამოიძიეს? არც გამოიძიებენ.

***– რატომ გგონიათ, რომ არ გამოიძიებენ? სხვა თუ არაფერი, წინ არჩევნებია.***

– იმიტომ, რომ ივანიშვილი ასეთი კადრებით ინარჩუნებს ძალაუფლებას. ხელისუფლებაში როგორ მოვიდა, დაგავიწყდათ? უხეში გამოთქმისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ქოცებმა არჩევნები უკანალითა და ცოცხების კადრებით მოიგეს. ახლაც კადრებით ცდილობენ ხელისუფლებაში დარჩენას.

მეტსაც გეტყვით, მან პარლამენტში უმრავლესობა იმ ნაციონალებით შეინარჩუნა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან იმ 9 წელიწადზე, რომელსაც ასე ხშირად გვახსენებენ. ან იქნებ არ იციან, მათი ნანა ყეინიშვილი 2012 წლის ზაფხულში რომ იხვეწებოდა, ნაციონალებმა სიაში ჩამწერეთო. ჩვენ რომ არ ჩავწერეთ, წავიდა და ეს ამბავი დავით საგანელიძის დახმარებით მოაგვარა.

**„ვინც რესპუბლიკელებს პროდასავლურობა დააბრალა, იმას ბრტყელტუჩათი ენა უნდა ამოაგლიჯო ძირში“**

ნანა ყეინიშვილმა თავი ნაციონალების მიერ დევნილად გამოაცხადა. მოვიდა თუ არა პარლამენტში, თავისი ძმა და მაზლები პოლიტპატიმრების სიაში შეატანინა, ამტკიცებდა, ჩემ გამო მოუწიათ ჩემს მაზლებს – ძმებ ქარქუსოვებს საქართველოდან გაქცევაო. იმ დროს, როცა ქარქუსოვები გაიქცნენ, ნანა ყეინიშვილი ურუზმაგ ქარქუსოვის ცოლი არ იყო. მას იმ დროს სხვა მეუღლე ჰყავდა. ცუდად მოვიქეცი, სხვის პირად ცხოვრებას რომ შევეხე, მაგრამ ადამიანმა უნამუსოდ არ უნდა მოიტყუო.

ივანიშვილმა თანამდებობაზე ის ხალხი დანიშნა, რომლებზეც ფარული ჩანაწერები ჰქონდა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ ეს ადამიანები ეკონტროლებინა. შანტაჟი რუსი ოლიგარქის თვისებაა. მისი წყალობით დღეს ქვეყანაში სექსი და შიმშილია გამეფებული. ამ კადრების გადამკიდე, შესაძლოა, ევროკავშირში აღარავინ მიგვიღოს.

პრორუსულები გამუდმებით იმას ამტკიცებენ, ევროპაში იმიტომ არ გვინდა, გაგვრყვნიანო. ბოლო დღეებში ისეთი რამეები მოვისმინე, აქეთ გავრყვნით ევროპას. მათთვის ოჯახი წმინდა რამეა, აქ თურმე ისეთები ხდება, ქვეყანაა თუ სექსოფრონი, ვერ გაიგებ. მარგველაშვილიდან დაწყებული, მეჭიაურით დამთავრებული, გამოცვივდნენ და თავიანთი სექსუალური თავგადასავლების მოყოლა დაიწყეს. მიკვირს, თოფაძემაც არ აუწყო მაგათ ხმა, მაგ ადამიანს ხომ პირში არაფერი უჩერდება, ყველაფერს ამბობს. მთავარი სათქმელი მან უკვე თქვა, რამაც ივანიშვილის ავი ჩანაფიქრი გააშხილა.

***– რა გაამხილა თოფაძემ ან რა ჩანაფიქრზე საუბრობთ?***

– ცოტა ხნის წინ გოგი თოფაძემ თქვა, ან არჩევნებით უნდა შეცვლილიყო ხელისუფლება, ან საქართველოში უცხო ქვეყნის ტანკები უნდა შემოსულიყვნენო.

***– თოფაძის განცხადებებს აქამდე სერიოზულად არ აღიქვამდით და რაღა ამ განცხადებას მოეკიდეთ სერიოზულად?***

– თოფაძემ რაც ახლა თქვა, ჩვენთვის 2012 წლის სექტემბრის ბოლოს იყო ცნობილი. არჩევნების ღამეს რუსული ტანკები იგოეთთან იყვნენ მომდგარი. იმ არჩევნებში ჩვენ თავი დამარცხებულად რომ არ გამოგვეცხადებინა, რუსული ტანკები შემოვიდოდნენ.

***– ასე იოლია სხვის ტერიტორიაზე ტანკებით შესვლა?***

– ჯერაც არ შემოჭრილან რუსები ჩვენს ტერიტორიაზე ტანკებით. რატომ გიკვირთ, რუსი ოლიგარქი მოსკოვის დავალებას შეასრულებდა? მაგის წყალობით საქართველოს ლამის ნახევარი რუსების ხელშია. ჩვენი ტერიტორიის 20% პუტინის მიერ არის ოკუპირებული. 30% კი ივანიშვილმა დაიპყრო. რაღა მაგას დაუპყრია და რაღა კრემლს.

***– ივანიშვილმა რანაირად დაიპყრო?***

– მიწები შეიძინა. ახლა სანაპირო ზოლს მიადგა უკვე. რაც პუტინმა ტანკებით ვერ ჩაიგდო ხელში, ახლა ივანიშვილის ფულით ახდენს მის ანექსიას. ეს ყველაფერი შემოდგომაზე დასრულდება. ხალხი მას არჩევნებზე გასცემს საკადრის პასუხს. ეჭვი არ მეპარება, რომ არჩევნებს ჩვენ მოვიგებთ. ის კი ნამდვილად არ ვიცი, საიდან უნდა დავიწყოთ ქოცების მიერ დაქცეული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

# ვახტანგ ძაბირაძე: „მთავრობა არჩევნებამდე ამ შემადგენლობით მივა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა თუ დაიშალა, მაშინ გიორგი კვირიკაშვილი 4 მინისტრზე მეტს ვერ შეცვლის, რადგან პარლამენტში მთავრობის ხელახალი ნდობის გამოცხადების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.**



**ვახტანგ ძაბირაძე:**

– კოალიცია, ვგულისხმობ საპარლამენტო კოალიციას, შენარჩუნებულია. ყოველ შემთხვევაში, კოალიციაში შემავალი სუბიექტების განცხადებებიდან გამომდინარე, ეს ასეა. „რესპუბლიკელებმა“ განაცხადი გააკეთეს არა იმის შესახებ, რომ კოალიცია დატოვეს, არამედ იმის შესახებ, რომ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას, ისევე, როგორც პარტია „ქართულმა ოცნებამ“. არჩევნებამდე, ვფიქრობ, საპარლამენტო უმრავლესობა შენარჩუნდება, თუმცა ძალიან ბევრს ოპოზიციიდან სურდა, რომ ხელისუფლებას საპარლამენტო უმრავლესობა დაეკარგა. ამაში ვერც დაძრახავ მათ. რადგანაც ისინი არიან ოპოზიციაში და მათი ამოცანაა ხელისუფლების დასუსტება, ეს ბუნებრივიცაა.

***– საპარლამენტო უმრავლესობის დაშლა რას გამოიწვევს? ამ შემთხვევაში როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– ეს ნამდვილად გამოიწვევს არასტაბილურ საპარლამენტო ცხოვრებას. თუ „რესპუბლიკელები“ დატოვებენ უმრავლესობას, მაშინ უმრავლესობას ვერ შეინარჩუნებს ხელისუფლება, რადგან პარტია „ქართულ ოცნებას“ უმრავლესობა არ ჰყავს, მისი უმრავლესობა კოალიციის სუბიექტებისგან შედგება. თუ ასე განვითარდა მოვლენები პარლამენტში, მაშინ ეს გამოიწვევს მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების პროცედურას და ეს საკითხი მივა თუ არა ბოლომდე, უკვე აღარავის აინტერესებს. ოპოზიციური პარტიები, რადგანაც ძალიან ცოტა დროა დარჩენილი არჩევნებამდე, შექმნიან იმის ილუზიას, რომ „ქართული ოცნება“, როგორც კოალიცია, ასევე პარტია, საპარლამენტო უმრავლესობა დაიშალა, ჩამოიშალა, ხელისუფლება აღარ არსებობს და ა.შ.

***– ამ საფრთხეს აცნობიერებს ხელისუფლება?***

– ეს არის დღეს საფრთხე, რომლის წინაშეც დგას ხელისუფლება და, წესით, უნდა აცნობიერებდეს, რადგან ეს ხელისგულზე დევს, მისი ანალიზი ძალიან მარტივია. თუ ამ საფრთხეს ვერ ითვალისწინებენ კოალიციაში შემავალი პარტიები, მაშინ მათ პარტიული ან პირადი ინტერესები აქვთ ან საერთოდ არაფერი გაეგებათ პოლიტიკის. ნებსით თუ უნებლიეთ, არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ქვეყანაში არჩევნებამდე არასტაბილური პოლიტიკური გარემო შეიქმნას.

***– „ეროვნული ფორუმის“ ყრილობიდან ცნობილი გახდა, რომ ისინი კოალიციას ტოვებენ და დამოუკიდებლად მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. გუბაზ სანიკიძემ ასევე განაცხადა, რომ ის ვიცესპიკერის პოსტს დატოვებს, თუ საპარლამენტო უმრავლესობასაც დატოვებენ. ამ შემთხვევაში პარლამენტში ხომ დგება კითხვის ნიშნის ქვეშ სახელისუფლებო უმრავლესობის არსებობა?***

– მე იმედი მაქვს, რომ „ფორუმი“ ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. მათ ამ გადაწყვეტილებას არ მივესალმები, რადგან „ფორუმს“ შეუძლია არჩევნებში თავისუფლად მიიღოს დამოუკიდებლად მონაწილეობა, მაგრამ მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ უმრავლესობის დატოვებამ შეიძლება არასასურველ პოლიტიკურ პროცესებს მისცეს დასაბამი. „ეროვნული ფორუმი“ არის ერთ-ერთი ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს აღებული ქვეყნის წინაშეც და საკუთარი თავის წინაშეც. თუ „ფორუმი“ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს იქნება ჩემთვის ცუდი მოულოდნელობა. იმედი მაქვს, ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული გუბაზ სანიკიძესაც და კახა შარტავასაც.

***– ბატონო ვახტანგ, თუ მოვლენები ასე განვითარდა, მაშინ რას ვიღებთ?***

– მე რამდენადაც ვიცი, „ფორუმი“ პარლამენტში წარმოდგენილია 6 დეპუტატით. „რესპუბლიკელებს“ 10 დეპუტატი ჰყავთ. საპარლამენტო უმრავლესობაში 87 დეპუტატია. უმრავლესობის არსებობისთვის კი საჭიროა 76 დეპუტატი.

***– მთავრობისთვის ხელახალი ნდობის გამოცხადება თუ გახდა საჭირო და პარლამენტში თუ უმრავლესობა არ ეყოლება „ოცნებას“, ეს რას გამოიწვევს?***

– ეს იქნება ძალიან ცუდი სიგნალი. ეს იქნება იმ ქაოსისა და არასტაბილური პოლიტიკური მოვლენების წინაპირობა, რაზეც მე ვისაუბრე. ამიტომ მეტი სიფრთხილე მართებთ პოლიტიკოსებს.

***– გამოდის, ვაკუუმი, სახელისუფლებო კრიზისი შეიქმნება?***

– არა, არ შეიქმნება, რადგან 5 მინისტრი უნდა შეცვალოს პრემიერმა, რომ მთავრობის ხელახალი ნდობის საკითხი დადგეს. ჯერჯერობით პრემიერ კვირიკაშვილს არავინ შეუცვლია, თუ არ ჩავთვლით საგარეო საქმეთა მინისტრს. ამდენად, გიორგი კვირიკაშვილს 4 მინისტრის შეცვლის შესაძლებლობა აქვს. თუ ოთხზე მეტ მინისტრს შეცვლის, ამის შემდეგ დადგება მთავრობისთვის ხელახალი ნდობის გამოცხადების საკითხი პარლამენტში. ჩემი აზრით, ახლა მინისტრთა კაბინეტის ცვლილებაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება.

***– არჩევნების წინ მინისტრთა კაბინეტის ცვლილებას გამორიცხავთ?***

– შესაძლოა, არჩევნების წინ მინისტრთა კაბინეტის გადახალისება მოხდეს, მაგრამ ეს გადახალისება ოთხ მინისტრზე მეტი არ შეიძლება იყოს. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ მთავრობა, ალბათ, ამ შემადგენლობით მივა არჩევნებამდე. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ვფიქრობ, ახლა მეტი გონიერება მართებთ პოლიტიკოსებს, რომ არჩევნებამდე მშვიდად, ყოველგვარი ქაოსის, პოლიტიკური დესტაბილიზაციის გარეშე მივიდეს ქვეყანა. პოლიტიკური კრიზისი არავის არაფერს კარგს არ მოუტანს.

# გერმანელები ქართულმა მაფიამ შეაწუხა

„ქართული მაფიის შემოსევა გერმანიაში“ – ამ სათაურით გამოქვეყნდა ინტერვიუ გერმანიის ყველაზე მრავალტირაჟიან ბულვარულ გაზეთ „ბილდში“ კრიმინალური პოლიციის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე ანდრე შულცთან, რომელიც კორესპონდენტს საცხოვრებელი ბინების ძარცვის სტატისტიკისა და ქურდ-მძარცველთა წარმომავლობის შესახებ ესაუბრება. მისი თქმით, 2015 წლის სტატისტიკა ოფიციალურად ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ წინასწარი მონაცემებით, 2014 წელთან შედარებით, ბინების ძარცვამ 10%-ით მოიმატა და 167.000 შემთხვევა შეადგინა.

– ყველაზე მეტად ქურდობენ მობილური, ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებული დამნაშავეები („გასტროლიორები“). ჩვენ აშკარად პროფესიონალ ქურდთა ბანდების შემოსევის მოწმენი ვართ. ისინი უმეტესად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან, მათ შორის საქართველოდანაც არიან, რომლებიც თავიანთ გავლენას მთელი გერმანიის ქალაქებსა და რეგიონებზე აფართოებენ. ასევე აქტიურობენ სერბები, ბოშათა კლანები აღმოსავლეთიდან და ჩრდილოაფრიკელი იმიგრანტები, – ამბობს ანდრე შულცი.

ქართულ მაფიაზე წერს აგრეთვე კიდევ ერთი გერმანული გაზეთი „ველტი“ (Die Welt), რომელმაც 31 მარტს დიდი სტატია გამოაქვეყნა. პუბლიკაციაში ვრცლადაა გადმოცემული, თუ როგორ დააპატიმრეს გასულ წელს ქალაქ დორტმუნდში მძარცველთა ბანდა, რომლის 12-ვე წევრი ქართველი აღმოჩნდა. სხვათა შორის, ქართველი ქურდების აქტიურობის შესახებ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი თომას მეზერი და სისხლის სამართლის საქმეების ფედერალური უწყების ხელმძღვანელი ჰოლგერ მიუნჰი ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე გამართულ პრეს-კონფერენციაზე საუბრობდნენ.

სწორედ მათ აცნობეს „დოიჩე ველეს“ კორესპონდენტს, რომ იმ ეტაპზე გერმანელი სამართალდამცავები 300 ქართველის მიერ ჩადენილი ძარცვის საქმეებს იძიებდნენ. იმავე პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ გერმანელთა საცხოვრებელი სახლების ქართველი მძარცველები („დომუშნიკები“) გერმანიაში სწორედ ლტოლვილების ნიღბით შედიან, ახლა კი „ბილდის“ მკითხველებს იგივე უთხრა ანდრე შულცმაც. მისი თქმით, ქართული მაფია მიზანმიმართულად არჩევს საქართველოში დამნაშავეებს და მათ გერმანიაში გზავნის.

– ისინი ჩამოდიან და პოლიტიკური თავშესაფრის მიღების თხოვნით განცხადებებს წერენ. მართალია, მათ თავშესაფრის მიღების არავითარი შანსი არ აქვთ, მაგრამ სანამ მათ განცხადებებს განიხილავენ, ისინი გერმანიაში ყოფნის დროს, 8-12 თვის განმავლობაში, ქურდობენ და სახლებს ძარცვავენ, – აღნიშნავს ანდრე შულცი.

**ნიუსპრესი**

# ვახტანგ მაისაია: „საქართველოს ლიბანიზაცია ემუქრება“

სამხედრო ექსპერტ ვახტანგ მაისაიას განცხადებით, ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში დაძაბულობა 2015 წლის ზაფხულშიც შეიქმნა და მაშინ სამშვიდობო გარანტებად რუსეთი და თურქეთი გამოვიდნენ, დღეს კი ეს ქვეყნები თავად იმყოფებიან საომარ მდგომარეობაში.

მისი თქმით, სწორედ ეს ფაქტორიც შეიძლება გახდეს ამ კონფლიქტის ფართომასშტაბიან ომში გადაზრდის მაპროვოცირებელი მიზეზი, რადგან რუსეთი შეეცდება ამ ფაქტორის გამოყენებას.

როგორც ექსპერტი მედიანიუსთან საუბარში აცხადებს, ის არ გამორიცხავს, რომ კონფლიქტის ინსპირაციას სწორედ რუსეთი ახდენდეს იმისთვის, რომ აზერბაიჯანი საშიშ სამხედრო-პოლიტიკურ პროვოკაციაში ჩაითრიოს.

– დაძაბულობა აზერბაიჯანს ნაკლებად აწყობს, იმიტომ, რომ ამან შეიძლება ფაქტობრივად დაასამაროს ალიევის ხელისუფლება, – განაცხადა ვახტანგ მაისაიამ.

მისივე თქმით, იმ ფონზე, როდესაც ამ კონფლიქტის მოგვარების გარანტი ქვეყნები ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან, დასავლეთს გავლენის მოსახდენად მძლავრი ბერკეტი არ გააჩნია.

– ამერიკასა და ევროკავშირს აზერბაიჯანთან საკმაოდ რთული ურთიერთობა აქვთ, სომხეთი კი ფორმალურად რუსეთის უშუალო მფარველობის ქვეშ არის, ამიტომ მათი ბერკეტები არის მყიფე. ამ კონფლიქტის შეჩერების ბერკეტი მხოლოდ რუსეთსა და თურქეთს გააჩნიათ, – აღნიშნავს ექსპერტი.

ამასთან, ვახტანგ მაისაია შიშობს, რომ თუ კონფლიქტმა ლოკალურიდან ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო, საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

– რეგიონულის შემთხვევაში, საქართველო იქნება ჩათრეული საომარ მოქმედებებში. შესაძლოა, ადგილობრივ ჯგუფებს შორის მოხდეს შეჯახებები. დივერსიული ჯგუფების მოქმედებაც გაიზრდება ჩვენს ტერიტორიაზე. თუ დიდ მასშტაბებზე ვისაუბრებთ, იგივე რუსეთი განახორციელებს ჩვენი საჰაერო სივრცის მონაკვეთების დარღვევას, რათა სომხეთს აღმოუჩინოს სამხედრო დახმარება. ამ ვითარებაში, ვშიშობ, საქართველო არ გადაიქცეს ლიბანად. იცით, როდესაც ერაყმა და სირიამ დასცხეს ერთმანეთს, ეს ყველაფერი ლიბანის ტერიტორიაზე აისახა. შეიძლება, ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ. ლიბანიზაციის სტატუსი შეიძლება მოგვენიჭოს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების პარამეტრები სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით ძალიან მყიფეა, შესაძლოა, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, – განმარტა ექსპერტმა.

**მედიანიუსი**

# რატომ ჩამოვიდა 2005 წელს ბუში საქართველოში





შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის საქართველოში, რიჩარდ მაილსის განცხადებით, ჯერ კიდევ 2004 წლის აგვისტოში პრეზიდენტ სააკაშვილის ლიდერობით ქართულმა არმიამ სამხრეთ ოსეთის აღება ცადა.

როგორც მაილსი რადიოსადგურ „ამერიკის ხმასთან“ საუბარში იხსენებს, ეს ოპერაცია კარგად არ წარიმართა და ჯარმა მალევე უკან დაიხია, რასაც ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა.

– 2005 წლის მაისში თბილისში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტის მთავარი მიზანი მსგავსი შემთხვევის მომავალში თავიდან აცილება იყო. ჩემი თანდასწრებით ბუშმა სააკაშვილს ორჯერ უთხრა, რომ იმის გამეორება, რაც 2004 წლის აგვისტოში მოხდა სტრატეგიული და პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა, რომელსაც შესაძლოა რუსეთის საქართველოში შეჭრა მოჰყოლოდა. ამან პრეზიდენტი სააკაშვილი გარკვეული პერიოდით შეაჩერა. მაგრამ მას და მისი მთავრობის წევრებს ყოველთვის სურდათ სამხრეთ ოსეთის შემოერთება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

მე სრულად ვეთანხმები ჰაიდი ტალიავინის მიერ მომზადებულ ანგარიშს. ყველამ, ვისაც კიდევ აქვს კითხვები აგვისტოს ომზე, ეს ანგარიში უნდა წაიკითხოს. ის ბრალს დებს როგორც რუსულ, ასევე ქართულ მხარეს, და ნაწილობრივ ოსურ მხარესაც. რაც 2008 წელს ვნახეთ, საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის სრული კატასტროფა იყო. ამან კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების შანსები შეამცირა, – აცხადებს მაილსი.

**ნიუსპრესი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმალლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# უჩარჩოო მეფუტკრეობა საგარეჯოში

## „ადამიანს სკასთან მისვლა მხოლოდ თაფლის ამოსაღებად სჭირდება“





საგარეჯოში მცხოვრები ნიკოლოზ ოსიყმიშვილი ფუტკარს განსხვავებული ტექნოლოგიით ამრავლებს. ის ფუტკარს ბუნებრივ პირობებს უქმნის და სკაში ჩარჩო და ფიჭა არ შეაქვს. როგორც ნიკოლოზ ოსიყმიშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, მის მიერ დამზადებულ სკებში ფუტკარი ფიჭას თვითონვე აკეთებს და გარედან პარაფინიანი ფიჭის შეტანა არ უხდება, შედეგად კი ფუტკრის მიერ დამზადებული თაფლი 100%-ით ნატურალურია.

– ფუტკარს თაფლის დასამზადებლად ჩარჩო საერთოდ არ სჭირდება. ზედმეტი უცხო საგანი სკაში, ჩარჩოები და ა.შ. შესაძლოა ფუტკრის დაავადებების გამომწვევი მიზეზი გახდეს. ახლა მეფუტკრეების სკებში ნაყიდი ფიჭა შეაქვთ, რომელიც რეალურად ფიჭა არ არის, 90%-ზე მეტი პარაფინია, ანუ ნავთობპროდუქტი. რა თქმა უნდა, პარაფინიან ფიჭაში გაკეთებული თაფლი ნატურალური ვერ იქნება. მე სკებს ვამზადებ, რომელშიც არც ჩარჩოებია და არც ფიჭა შემაქვს, თვითონ აშენებს ფუტკარი ფიჭას და მერე შიგ დებს თავისივე თაფლს. ბუნებრივ პირობებში არიან. ადრე ხომ ასე იყო, ფუტკარი ფუღუროში შეფრინდებოდა და იქ აშენებდა ფიჭას, აკეთებდა თაფლს, ადამიანი ხომ არ სჭირდებოდა? ფიჭის უჯრედის ზომასაც აქვს მნიშვნელობა, ფუტკრის მიერ დამზადებული ფიჭის ზომა უფრო მსხვილია, ფუტკარიც უფრო მსხვილი იბადება. თან ფიზიოლოგიითაც განსხვავებულია მათგან, ვინც პარაფინიან ფიჭას იყენებს. მათთან იმუნური სისტემა არ მუშაობს და ფუტკრები ავადმყოფობენ, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მეფუტკრემ.

54 წლის ნიკოლოზ ოსიყმიშვილი პროფესიით ინჟინერია. მისი თქმით, მეფუტკრეობით დაახლოებით 2 წლის წინ დაინტერესდა. შესაბამის ლიტერატურის გაცნობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანი თაფლის წარმოების პროცესში ზედმეტად ერევა. ოსიყმიშვილის თქმით, მისი ტექნოლოგიით ფუტკრის მოშენება ნებისმიერ მსურველს შეუძლია და ამისთვის სპეციალური ცოდნა არ არის საჭირო.

– ამ მეთოდით ფუტკრის მომრავლება ძალიან მარტივია, ადამიანს მხოლოდ თაფლის ამოსაღებად სჭირდება სკასთან მისვლა. არანაირი ზედმეტი ჩარევა არ არის საჭირო. 3 სკა ფუტკარი მყავს, რაც ჩავსვი 100% გადარჩა ჩემი მეთოდით. იმ თეორიამ, რომელზეც ვფიქრობდი რომ გაამართლებდა, გაამართლა. რომ დავფიქრდი, მივხვდი რომ სისულელე იყო ქიმიის და წამლის მიცემა, ხელოვნურად ბალიშებით და მუთაქებით დათბუნება. მთავარია ბუნებრივ პირობებში იყვნენ. რა თქმა უნდა ჩემს სკებში ტენიანობა, ვენტილაცია და მსგავსი საკითხები გათვალისწინებულია, მაგრამ შიგნით სკაში ისეთი არაფერია რომ ფუტკარს ხელი შეუშალოს. სკაში არ უნდა არსებობდეს სინესტე, ტენიანობას სკაში უნდა არეგულირებდეს ფუტკარი და არა ადამიანი, – აღნიშნა ნიკოლოზ ოსიყმიშვილმა.

როგორც მეფუტკრე ამბობს, მისი სამომავლო გეგმები ფუტკრის მოშენების ტექნოლოგიის შეცვლაზე მუშაობას უკავშირდება.

– ჩემი ინტერესი თაფლის გაყიდვა არ არის. მინდა მივაღწიო იმას, რომ მეფუტკრეებმა თავიანთი სკები ამ ახალი სკებით შეცვალონ. ლაბორატორიაც მაქვს, სადაც ცდებს ვატარებ. დავამტკიცებ, რომ კედლის სისქეს სკაში არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, ფუტკრისთვის საშიშია სიცხე და არა სიცივე. სკების გაყიდვა რამდენიმე თვეა დავიწყე და სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება, – აღნიშნა მეფუტკრემ.

ნიკოლოზ ოსიყმიშვილი სკების ფეისბუქის საშუალებით ყიდის. მის მიერ დამზადებული 1 სკა ფუტკრის ოჯახით 350 ლარი ღირს.

მეფუტკრე მომავალ წელს უჩარჩოო მეფუტკრეობის ტექნოლოგიის დაპატენტებას აპირებს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# დიმიტრი ავრამოპულოსი: „საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი დროულად დასრულდება“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე მიგრაციის, საშინაო საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში ევროკომისარ დიმიტრის ავრამოპულოსს შეხვდა.

ოფიციალური ცნობით, საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა ევროკომისარს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხში მხარდაჭერისა და, ზოგადად, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში შეტანილი წვლილისათვის, რისი დასტურიცაა მისი მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების პოზიტიურად შეფასება და მიმდინარე წლის 9 მარტს საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გაუქმების მიზნით საკანონმდებლო პროცესის ინიცირება.

ევროკომისრის ინფორმაციით, მიმდინარე კვირიდან საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხის განხილვები დაიწყება როგორც ევროპარლამენტში, ასევე ევროკავშირის საბჭოს ფარგლებში. მან ხაზი გაუსვა, რომ, თავის მხრივ, აქტიურად გააგრძელებს ამ საკითხზე ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებთან თანამშრომლობას და გააძლიერებს ძალისხმევას იმისათვის, რათა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი რაც შეიძლება დროულად დასრულდეს.

ევროკომისარმა აღნიშნა, რომ საქართველო ევროკავშირისათვის სანდო პარტნიორია, რასაც ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების ძლიერი პოლიტიკური ნება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით და მუდმივი ძალისხმევა რეფორმების განხორციელებისა და ევროკავშირის სტანდარტების დანერგვის კუთხით.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბების ახალ შესაძლებლობებზე და მიგრაციისა და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე.

აღსანიშნავია, რომ ეს ევროკომისრის პირველი ვიზიტია საქართველოში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს მიმართ ევროინტეგრაციის პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძესთან გაიმართა.

**მედიანიუსი**

# ახმეტა წყალდიდობის მოლოდინში

ახმეტის მუნიციპალიტეტს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დაახლოებით 2.800.000 ლარი გამოეყო. ერთ-ერთი პროექტის სახით მდინარე ალაზანზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა შეირჩა. სამშენებლო სამუშაოები იმავე წლის 1 დეკემბრამდე უნდა დასრულებულიყო, თუმცა ეს ვადა მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მანამდე გრძელდებოდა, სანამ ნაწილობრივ გაკეთებული ნაგებობა ადიდებულმა მდინარემ არ წაიღო.

2013 წლის 28 ივნისს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ქალაქ ახმეტაში მდინარე ალაზნის ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით. პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 262.300 ლარს.

სატენდერო წინადადებების მიღება დაიწყო 2013 წლის 17 ივლისს და დასრულდა 22 ივლისს. ტენდერში მონაწილეობა ხუთმა პრეტენდენტმა მიიღო, მათგან გამარჯვებულად კი გამოცხადდა შპს „MSHEN-GROUP მშენ-გრუპი“ (სარეგისტრაციო კოდი – 400028395), რომლის მიერ შეთავაზებული საბოლოო ფასი 185.998 ლარს შეადგენდა.

◆ ◆ ◆

2013 წლის 2 აგვისტოს მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება 232 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლის მიხედვითაც შესრულებული სამუშაოების მიწოდების ვადა 2013 წლის 1 დეკემბრამდე განისაზღვრა. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,1 %-ის ოდენობით.

2013 წლის 27 აგვისტოს, სამუშაოების მიღების აქტების საფუძველზე, გამგეობამ „მშენ-გრუპს“ შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 55.799 ლარი გადაურიცხა.

ამის შემდეგ კი ორივე მხარის მიერ დაიწყო ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც, მაღალი ალბათობით მიზნად პროექტის ჩავარდნას ისახავდა. კონფიდენციალურმა წყარომ, რომელიც იმ პერიოდში ახმეტის გამგეობაში მუშაობდა, საინფორმაციო ცენტრების ქსელს განუცხადა: „ერთიც და მეორეც გაზაფხულის დადგომას ელოდნენ, რადგან მაგ დროს მაღალია წყალდიდობის ალბათობა და სურდათ პროექტის შეუსრულებლობა სტიქიისთვის დაებრალებინათ. სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას, რომ ობიექტის დასრულების ვადა თითქმის 1 წლით გაუგრძელეს, მაშინ როცა თვეების განმავლობაში არაფერი კეთდებოდა და ეს გამგეობის პასუხისმგებელმა პირებმა დანამდვილებით იცოდნენ“.

2013 წლის 26 ნოემბერს შპს-ს დირექტორმა გელა ძამიაშვილმა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ბექა ბაიდაურის სახელზე წარადგინა წერილი, რომლითაც ითხოვა სამუშაოების ჩაბარების ვადის გაგრძელება იმავე წლის 25 დეკემბრამდე, ვინაიდან სამუშაოს დასრულება ვერ მოხერხდა უამინდობის (უხვი ნალექების) გამო. წერილს ერთვოდა გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა, სადაც მითითებული იყო, რომ 1 ოქტომბრიდან 19 ნოემბრამდე პერიოდში, ანუ 50 დღეში, მხოლოდ 12 დღე იყო წვიმიანი.

იმავე დღეს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილმა ინსპექტირების მუდმივმოქმედმა ჯგუფმა დადებითი დასკვნა წარადგინა, რის საფუძველზეც 26 ნოემბერსვე შედგა წერილობითი შეთანხმება 232/1 და აღნიშნული ვადა ერთი თვით, 2013 წლის 25 დეკემბრამდე გაგრძელდა.

ამასთან, 2013 წლის 2 დეკემბერს გამგეობამ „მშენ-გრუპს“ კიდევ ჩაურიცხა 54.063 ლარი.

მიუხედავად ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა, ვადის ამოწურვის შემდეგ, 30 დეკემბერს, შპს „მშენ-გრუპმა“ გამგეობისაგან კიდევ მოითხოვა თანხა 59.896 ლარის ოდენობით, თუმცა ამჯერად გამგეობამ მას მხოლოდ მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 27.267 ლარი გადაურიცხა.

სახელშეკრულებო ვადის ამოწურვიდან 1 თვეზე მეტი ხნის შემდეგ – 2014 წლის 3 თებერვალს, „მშენ-გრუპმა“ კიდევ მოითხოვა სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელება 2 თვით, რის მიზეზადაც ამჯერად მკაცრი კლიმატური პირობები მიუთითა. მანვე გამოთქვა მზადყოფნა პირგასამტეხლოს ნებაყოფლობით გადახდის თაობაზე.

იმავე დღეს შედგენილ იქნა ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნა, რის საფუძველზეც 2014 წლის 6 თებერვალს შედგა წერილობითი შეთანხმება 232/2 სამუშაოების შესრულების ვადის 25 აპრილამდე გაგრძელების თაობაზე.

საინტერესოა, რომ ამის შემდეგ (2014 წლის 20 მარტს), ინსპექტირების ჯგუფმა ადგილზე შეამოწმა სამუშაოს მიმდინარეობა და შეადგინა წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ ვადის გაგრძელების შემდეგ კონტრაქტორ ფირმას სამუშაოები ფაქტობრივად აღარ უწარმოებია. თუმცა, მუნიციპალიტეტის გამგეობამ ეს ფაქტიც რეაგირების გარეშე დატოვა და არც ხელშეკრულების დარღვევის გამო გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა მოუთხოვია.

2014 წლის 22 აპრილს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარმა ძლიერმა წყალდიდობამ მწყობრიდან გამოიყვანა მშენებარე ნაპირსამაგრი ნაგებობა. კერძოდ, მთლიანად მოშალა კალაპოტის სარეგულაციო დამბა და დამცავი ნაგებობის ყრილები, ასევე გაიტაცა მშენებლობისათვის შეტანილი ქვის გროვების უდიდესი ნაწილი.

აღნიშნული მიზეზის გამო 2014 წლის 24 აპრილს გამგეობასა და მიმწოდებელს შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხმება 232/3, რომლითაც სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა იმავე წლის 30 ივნისამდე.

2014 წლის 25 ივნისს ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილ იქნა დასკვნა, რომლის თანახმადაც, მომხდარი წყალდიდობის შედეგად მიმწოდებელმა განიცადა 14.018 ლარის ოდენობის ზიანი, რაც დასტურდებოდა ექსპერტიზის დასკვნით. დასკვნაში მითითებულია, რომ საჭიროა გარკვეული სამუშაოების ხელახლა ჩატარება, რის გამოც სახელშეკრულებო თანხა უნდა გაიზარდოს 7896 ლარით, ხოლო სამუშაოს დასრულების ვადა გაგრძელდეს კიდევ 2 თვით.

იმავე დღეს მხარეებს შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხმების ოქმი 232/4, რითაც სახელშეკრულებო თანხის ოდენობა გაიზარდა 193.894 ლარამდე, ხოლო ვადა გაგრძელებულ იქნა 2014 წლის 1 სექტემბრამდე.

ამის შემდეგ, 2014 წლის 30 აგვისტოს, მომწოდებელმა კიდევ ერთხელ ითხოვა სამუშაოების დასრულების ვადის 1 თვით გაგრძელება. ამჯერად მიზეზად დასახელდა რუსეთის ფედერაციიდან მავთულის შემოტანისას ლარსის გამშვებ პუნქტზე შექმნილი შეფერხება, რაც გამოწვეული იყო დარიალის ხეობაში ზვავის ჩამოწოლით.

ამ საკითხზე 2014 წლის 8 სექტემბერს ინსპექტირების ჯგუფმა შეადგინა დადებითი დასკვნა და მხარეებმა იმავე დღეს გააფორმეს წერილობითი შეთანხმება 232/5, რომლითაც სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა 2014 წლის 30 სექტემბრამდე, თუმცა ამის შემდეგ „მშენ-გრუპს“ არავითარი სამუშაო აღარ შეუსრულებია. გადაუხდელი დარჩა მშენებლობაზე დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების უმეტესი ნაწილიც.

◆ ◆ ◆

ახმეტის გამგეობამ მხოლოდ 4 თვეზე მეტი ხნის შემდეგ – 2015 წლის თებერვალში მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მოითხოვა შპს „მშენ-გრუპის“ დარეგისტრირება არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში („შავი სია“). აღსანიშნავია, რომ ეს საწარმო მანამდე უკვე სამჯერ იყო დარეგისტრირებული შავ სიაში – ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ მოთხოვნის საფუძველზე.

ოდნავ მოგვიანებით ახმეტის გამგეობამ სასამართლოში სარჩელიც შეიტანა და მოპასუხისგან პირგასამტეხლოს სახით 75.000 ლარის გადახდევინება მოითხოვა, ხოლო ნაგებობის მშენებლობისათვის გახარჯული 137.129 ლარი სარჩელის მიღმა იქნა დატოვებული. თუმცა, სასარჩელო მოთხოვნაც ძირითადად უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგან, ხელშეკრულების თანახმად, თუ პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა აჭარბებს მისი ჯამური ოდენობის 10%-ს, მაშინ ეს ხელშეკრულება ვადამდე უნდა შეწყვეტილიყო (მუხლი 10.3). გამგეობის დაგვიანებული ქმედების შედეგად სასამართლომ სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და „მშენ-გრუპს“ მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ მხოლოდ 19.389 ლარის გადახდა დააკისრა.

ახმეტის გამგებლის მოადგილე ვაჟა ნასყიდაშვილის განცხადებით, პროექტის გადავადება უმიზეზოდ არცერთხელ არ მომხდარა.

– ჯერ სტიქია მოხდა და რაც გაკეთებული იყო, ქვა-ღორღი, ბადეები და ა.შ. წყალმა წაიღო, შემდეგ ამინდები იყო ცუდი. ცნობის გარეშე არცერთხელ არ გადაგვივადებია. როცა უკვე მივედით იმ დასკვნამდე, რომ არ სრულდებოდა პროექტი, შემდეგ ვუჩივლეთ კიდეც და გარკვეული თანხის გადახდაც დაეკისრათ. ახლა აღსრულებაზეა. ამ კომპანიამ დასკვნაც კი მოიტანა, რომ რაც აიღეს იმ ოდენობის სამუშაო შეასრულეს კიდეც. დისკვალიფიკაციის შემდეგ ხელახლა გამოვაცხადეთ ტენდერი და სხვა კომპანიამ დაასრულა მშენებლობა, – განაცხადა ვაჟა ნასყიდაშვილმა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# „იკითხე და მოიგებ!“ – წიგნის მოყვარულებისთვის უპრეცედენტო გათამაშება დაიწყო

ეკა ირემაშვილი

## „ამ ბოლო დროს წიგნის ჩუქება აქტუალური გახდა“

საქართველოში წიგნის მოყვარულებისთვის უპრეცედენტო გათამაშება დაიწყო.

„იკითხე და მოიგებ!“ – ასე ჰქვია აქციას, რომელსაც გამომცემლობა „პალიტრა ელი“ მართავს. გათამაშებაში ყველა ბილეთი მომგებიანია.

31 მარტიდან 2 თვის განმავლობაში მკითხველს დიდი სიურპრიზი ელის – ყველას, ვისაც უყვარს კითხვა, ვისთვისაც მნიშვნელოვანია წიგნები, ვისაც უყვარს მოგება ან უბრალოდ სიურპრიზები, შესაძლებლობა ეძლევა, მოიგოს იაპონური ავტომობილი, ერთკვირიანი საგზური ევროპაში 2 კაცზე, 3.000-ლარიანი ავეჯის ვაუჩერი, აიფონ 6ს და 200.000 წიგნი.

გათამაშებაში მონაწილეობა მარტივია – მკითხველი 31 მარტიდან წიგნის მაღაზიებში ყოველ 20-ლარიან შენაძენზე, გამომცემლობა „პალიტრა ელის“ წიგნებზე ადგილზე მიიღებს გათამაშების 1 ბილეთს, გადაფხეკს გადასაფხეკ ველს, მოიგებს გარანტირებულ პრიზს, წიგნს, აგრეთვე შეავსებს ბილეთის მეორე ნაწილს, ბილეთზე მიუთითებს სახელს, გვარს, ტელეფონის ნომერს, პირად ნომერს, ჩააგდებს წიგნის მაღაზიაში განთავსებულ სპეციალურ ყუთში და დაელოდება 29 მაისის მთავარ გათამაშებას, სადაც გათამაშდება 4 მთავარი პრიზი და გამოვლინდება 4 გამარჯვებული.

გათამაშების თითოეულ ბილეთს მინიჭებული აქვს უნიკალური კოდი, რომლის მეშვეობითაც მოხდება გამარჯვებულის იდენტიფიკაცია.

პრიზის მისაღებად წარადგინეთ ბილეთის თქვენი ნაწილი.

გათამაშება გაიმართება 29 მაისს, 18:00 საათზე, ტელეკომპანია „პალიტრა ნიუსისა“ და „რადიო პალიტრის“ პირდაპირ ეთერში. წამყვანი პირდაპირ ეთერში დოლურრიდან შემთხვევითობის პრინციპით ამოიღებს ბილეთს, რომელზეც დაფიქსირებული იქნება მონაწილე პირის ტელეფონის ნომერი და სტუდიიდან განახორციელებს ზარს. თუ პირი უპასუხებს ზარს, იგი ავტომატურად ხდება ერთ-ერთი პრიზის მფლობელი.

პრიზები გაიცემა გათამაშებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ბილეთის წარდგენიდან კი – არაუგვიანეს 6 დღეში, შპს „გამომცემლობა პალიტრა ელის“ ოფისიდან, მისამართზე იოსებიძის ქ №49.

აქციის ფარგლებში გამარჯვებულები უკვე გამოვლინდნენ. „ბიბლუსის“ ერთ-ერთ ფილიალში 18 ბილეთით 18 წიგნი მოიგო ერთ-ერთმა მომხმარებელმა, „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტმა კახა შენგელიამ:

– „ბიბლუსში“ ჩემთვის, უნივერსიტეტისთვის და მეგობრებისთვის დაახლოებით 700 ლარამდე წიგნი შევიძინე. ძალიან მიხარია, რომ ეს აქცია დაიწყო. გამიმართლა. 18 ბილეთი მერგო და ჯერჯერობით 18 წიგნი მოვიგე, თუ კარგად იქნება საქმე, შეიძლება, მანქანასაც გამოვკრა ხელი.

კულინარიული წიგნის შეძენის შემდეგ ბიზნესის სერიიდან წიგნი მოიგო ცოტნე შერმადინმა:

– წიგნის მაღაზიაში კულინარიული წიგნის შესაძენად შემოვედი, გავიგე, რომ მიმდინარეობს გათამაშება, სადაც ყოველ 20 ლარზე გათამაშების ერთ ბილეთს გაძლევენ. მოვიგე „ბიზნესის გენიის“ სერიიდან წიგნი მარკ ცუკერბერგის შესახებ.

შტეფან ცვაიგის ოთხტომეულით დასაჩუქრდა მომხმარებელი ქეთი ამაშუკელი, რომელიც „ბიბლუსში“ საჩუქრის შესაძენად იყო მისული:

– გათამაშების შესახებ არაფერი ვიცოდი. ბავშვისთვის საჩუქრად წიგნის ყიდვა მინდოდა. მოვიგე ძალიან კარგი საჩუქარი, შტეფან ცვაიგის ოთხტომეული. ძალიან გამიხარდა. მინდა, ყველას წარმატება ვუსურვო, ხშირად შეიძინონ წიგნები.

ფრანგული კულინარიის შესახებ გამოცემით დასაჩუქრდა მაკა რუსია, რომელმაც მომგებიანი ბილეთი სამედიცინო ატლასის შეძენის შემდეგ მიიღო.

* * *

**ნინო დეკანოსიძე, გამომცემლობა „პალიტრა ელის“ მთავარი რედაქტორი:**

– ეს არის პირველი გათამაშება საქართველოში, სადაც ყველა ბილეთი მომგებიანია! გათამაშება თავისი არსით უნიკალურია, ერთი, რომ წიგნებზე მკითხველისთვის მსგავსი მასშტაბის გათამაშება არასოდეს ყოფილა და მეორე, ზოგადად წამახალისებელი გათამაშებების ისტორიაში, პირველად ხდება, რომ ყველა ბილეთი იგებს და იგებს ყველაზე ღირებულ ნივთს, წიგნს!

პრიზებში გამოტანილია გამომცემლობა „პალიტრა ელის“ ყველა წიგნი, მათ შორის წიგნები ისეთი ბესტსელერი სერიებიდან, როგორებიც არის „100 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, „სამაგიდო წიგნების უნივერსალური ათეული“, „ჩემი რჩეული“, „ჩემი რჩეული მსოფლიო“, ლიბერთინისის წიგნები, ენციკლოპედიები, საბავშვო ლიტერატურა, სპორტული, კლასიკა, შემეცნებითი, დეტექტივები, ფილოსოფიური და სხვა. ნამდვილად ძალიან კარგი პრიზები თამაშდება. ყველას ვურჩევ, იკითხონ წიგნები და აუცილებლად მოიგებენ.

ჩვენი გათამაშების მთავარი სლოგანია „იკითხე და მოიგებ.“ ის 31 მარტს დაიწყო და 25 მაისის ჩათვლით მთელ საქართველოში გაგრძელდება. გამომცემლობაში ყველამ ერთად ვიფიქრეთ, კიდევ რისი მოფიქრება შეიძლებოდა იმისთვის, რომ წიგნები უფრო მეტ ადამიანს წაეკითხა, ამიტომაც დავიწყეთ ახალი აქცია, სადაც მომხმარებელი საჩუქრად წიგნებს იღებს.

ის, რომ შენაძენზე გასაჩუქრებენ, კიდევ უფრო მეტი აზარტია და გაინტერესებს, რა წიგნს გაჩუქებენ. ჩვენ საჩუქრებში შეზღუდული არ ვართ, ვასაჩუქრებთ მომხმარებლებს როგორც ქართული, ასევე თარგმნილი ლიტერატურით, ყველა თაობისა და ასაკის მკითხველისთვის. ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მეტი წიგნი შეიტანონ სახლში ჩვენმა თანამემამულეებმა.

***– იდეა თქვენ გეკუთვნით?***

– არა. იდეა ყველას ერთად დაგვებადა, „პალიტრა ელში“ გაჩნდა. სულ ვფიქრობდით, კიდევ რისი მოფიქრება შეიძლებოდა წიგნების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით და მივაგენით ძალიან ორიგინალურ და საინტერესო იდეას. მიხარია, რომ სულ რამდენიმე დღეა, მისი რეალურად განხორციელება დავიწყეთ.

***– აქტიურობენ წიგნის მოყვარულები?***

– კი, ძალიან აქტიურობენ და ეს კიდევ უფრო მეტად გვახარებს. ჩვენ გვეგონა, რომ დედაქალაქი უფრო მეტად იაქტიურებდა, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, რეგიონები უფრო აქტიურობენ. მიდის დაუსრულებელი რეკვები. ჩვენი აქცია მთელ საქართველოში მიმდინარეობს, სადაც კი „ბიბლუსის“ მაღაზიებია და გამომცემლობა „პალიტრა ელის“ წიგნები იყიდება. 2 ან 3 წიგნს რომ იყიდი და კიდევ წიგნს რომ გაჩუქებენ, ეს უკვე მართლაც კარგი ამბავია.

***– მხოლოდ რიგით მოქალაქეებს აქვთ ამ აქციაში მონაწილეობის უფლება თუ პალიტრელებსაც შეგიძლიათ სოლიდური პრიზების მოგება?***

– ჩვენთან არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იკითხოს წიგნები, რომ მეტი განათლებული ადამიანი იყოს ჩვენს საზოგადოებაში. ამ ბოლო დროს წიგნის ჩუქება აქტუალური გახდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საჩუქარია საყვარელი ადამიანისთვის და ახლობლებისთვის, რაც ჩვენთვის უდიდესი სიხარულია.

# დევი ხეჩინაშვილი: „უნიკალური ქვეყანა ვართ, სადაც მთავრობა დაზღვევას რისკების სამართავად არ იყენებს“

დევი ხეჩინაშვილი

მოგების გადასახადის რეფორმის ძალაში შესვლა გადავადებულია. მთავრობის განმარტებით, გადაწყვეტილება ბიზნესის რეკომენდაციით მიიღეს. კიდევ უფრო მეტად გადაიწია ამ ვადამ საფინანსო სექტორისთვის, რომელიც ისედაც გვიან ისარგებლებდა იმ შეღავათით, რასაც ესტონური მოდელი სთავაზობს ბიზნესს. საფინანსო სექტორში სადაზღვევო ბიზნესიც იგულისხმება. სადაზღვევო ასოციაციის ხელმძღვანელმა **დევი ხეჩინაშვილმა** ამ თემაზე გადაცემა „ბიზნესკონტაქტის“ ეთერში ისაუბრა.

***– თქვენთვის თუ არის გასაგები ის მოტივაცია, თუ რატომ გადავადდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელის ამოქმედება?***

– ჩვენთვის ნათელი არ არის თუ რა პრინციპით გააერთიანა მთავრობამ ფინანსური სექტორი ამ თვალსაზრისით, იმიტომ, რომ ამ სექტორში 3 ინდუსტრია მონაწილეობს, ყველას თავისი პრობლემები და თავისი განვითარების ვექტორები აქვს.

ჩვენს შემთხვევაში ნამდვილად ვიცით ერთი რამ, რომ თავიდან ძალიან გვჭირდებოდა ჩართვა და ამის არგუმენტაციაც გვქონდა. უბრალოდ. არ მიიღეს ამ ეტაპზე. ახლა გაგვიჩნდა ერთი პრობლემა, რომ ჩვენ საქართველოში იმ ზრდაზე და განვითარებაზე ორიენტირებულ რეფორმაში არ ვართ ჩართულები თავიდანვე, იმ დროს, როცა ძალიან გვჭირდება კაპიტალიზაციის გაზრდის მხრივ.

როდესაც ინვესტორები დაგვისვამენ კითხვას თუ რა იყო გადავადების მიზეზი, ძალიან გაგვიჭირდება ამაზე პასუხის გაცემა და შეიძლება იყოს აღქმული, რომ მთავრობას სადაზღვევო სექტორის განვითარება ნაკლებად აინტერესებს.

***– პირველ რიგში, რა მიუთითებს ამაზე, გადაწყვეტილება თუ პროცესები, რომლებიც ხდება სადაზღვევო ბაზართან დაკავშირებით, იმიტომ, რომ ხშირად არის საუბრები, თითქოს სახელმწიფო კონკურენტი ხდება ამ ბაზარზე. ეთანხმებით ამ შეფასებას?***

– ჯერჯერობით ლაპარაკია ჯანდაცვის რეფორმაზე. კონკურენციაზე ნამდვილად არ არის საუბარი. ვერ გეტყვით, რომ მარტივი იყო ის ცვლილებები, როდესაც ჩვენმა ინდუსტრიამ თავისი შემოსავლების ნახევარი დაკარგა, მაგრამ ამას შევეგუეთ და ახლა წინ ვიყურებით. ახლა ვცდილობთ, რომ ავუხსნათ მთავრობას და დაგვიჭიროს მხარი, რომ კი ბატონო, გავიგეთ, მაგრამ ახლა წავიდეთ წინ.

***– რა არის რეალური დრო ცვლილებების განსახორციელებლად და რა სტანდარტები უნდა იყოს?***

– რეალური დრო არის წელს. პირველი ნაბიჯი არის თემა, რომელიც სერიოზულად განიხილება მთავრობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მივიდა გადაწყვეტამდე, ეს არის სავალდებულო დაზღვევის გავრცობა სატრანზიტო მოძრაობაზე საქართველოში.

საქართველოს მოქალაქესა და ბიუჯეტს აქედან ექნება მხოლოდ დადებითი შემოსავალი. ჩვენ ახლა გვჭირდება სიგნალი მთავრობიდან იმის ფონზე, როდესაც გადავადდა ესტონურ მოდელში ჩვენი ჩართვა, რომ მთავრობა ხედავს სადაზღვევო ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობას.

***– რა არის თქვენი არგუმენტები, რომ მყისიერად უნდა ჩაერთოთ მოგების გადასახადის ესტონურ მოდელში?***

– უპირველეს ყოვლისა, არის ის, რომ ინდუსტრიას ძალიან სჭირდება კაპიტალიზაციის გაზრდა. ამის მიზეზი არის ის, რომ ჩვენ დღეს ვზრდით მოთხოვნებს კაპიტალის მიმართ, წელს შემოგვაქვს სოლვენსის ინსტრუმენტი და ის აუცილებლად მოითხოვს კაპიტალის გაზრდას. სწორედ ამ კაპიტალის გაზრდის მხრივ მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ რეფორმაში ჩვენი თავიდანვე ჩართვა.

***– ამ ეტაპზე, როდესაც თავიდანვე ჩართულები არ ხართ, რა რისკები დგება?***

– რისკს ვხედავ იმაში, რომ რთულია ახსნა საერთაშორისო პარტნიორებთან, რატომ არ ვართ ჩართულები.

***– ეს რა გავლენას იქონიებს?***

– ეს გავლენა რთული საპროგნოზოა. თუ სხვა ღონისძიება არ გატარდა, როლებიც ნამდვილად გასატარებელია და მთავრობამაც იცის ეს, ესე იგი რაღაც დროით ყველა იქნება შეწუხებული.

***– სავალდებულო დაზღვევის კომპონენტს განიხილავთ როგორც დამაბალანსებელს იმისა, რომ ვერ მოხდა თქვენი ჩართვა რეფორმაში?***

– დამაბალანსებელს არა უშუალოდ ფინანსურად, არამედ განწყობის საჩვენებელს იმის დასტურად, რომ საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობების განვითარება მთავრობისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

***– დღეს არ ჩანს, რომ ეს არის ერთ-ერთი პრიორიტეტი?***

– ნამდვილად არ ჩანს, იმიტომ, რომ ამ თვალსაზრისით უნიკალური ქვეყანა ვართ, სადაც მთავრობა არ იყენებს დაზღვევას რისკების სამართავად. ერთადერთი სფერო, სადაც ჩვენ პილოტურად ვმუშაობთ მთავრობასთან, არის აგროდაზღვევა, რაც ძალიან საინტერესოა.

***– სახელმწიფოს ჩართვა რატომ გჭირდებათ, კერძო სექტორი ვერ უზრუნველყოფს, რომ გამართულად იმუშაოს სადაზღვევო სექტორმა?***

– ეს არის დაზღვევის სპეციფიკა. არა მარტო იქ, სადაც დაზღვევის კულტურა არ არის, არამედ ბევრად წინ წასულ ქვეყნებში იყენებენ არაერთ სავალდებულო დაზღვევას, რადგან რაღაც რისკების მართვას ვერ მიანდობენ ინდივიდუალური ადამიანების გადაწყვეტილებას.

***– თქვენ თვლით, რომ ამ ტიპის რეგულაციების შემოღება შენელებული ეკონომიკის ზრდის ფონზე და იმ ფონზეც, როდესაც ქვეყანა ღარიბია, მაინც შესაძლებელია?***

– რასაკვირველია. რაზეც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, ის მხოლოდ ხელს შეუწყობს საქართველოში ეკონომიკურ პროცესებს. ეს არის დაახლოებით 60-მილიონიანი ექსპორტის გაჩენა, რაც ბალანსის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. რასაკვირველია, პრობლემას ვერ გადაწყვეტს, მაგრამ სერიოზულ წვლილს შეიტანს და სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი ზრდაა.

***– თუ გქონიათ კომუნიკაცია ხელისუფლებასთან, თუ მიაწოდეთ მათ არგუმენტები და რეკომენდაციები?***

– ეს მთავრობაში უკვე ინიცირებულია. მთავრობის შიგნით ამაზე მიდის მუშაობა. 1 წელია, ამაზე მიდის საუბრები და ჩვენ ამ დროის განმავლობაში 60-მილიონიანი ექსპორტის ზრდა დავკარგეთ. მე არ ვსაუბრობ ისეთ საკითხებზე, რომლებსაც ხელისუფლება არ იზიარებს და ჩვენ სერიოზული არგუმენტები გვჭირდებოდეს. ეს სრულიად გაზიარებულია მათ მიერ.

**ბიზნესკონტაქტი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## კასიანოვი ნტვ-ს სასამართლოში აღარ უჩივლებს

რუსეთის ექსპრემიერმა კასიანოვმა განაცხადა, რომ ნტვ-ს სასამართლოში აღარ უჩივლებს.

ნტვ-ზე გავიდა ფილმი „კასიანოვის დღე," რომელიც საბჭოური პასკვილების სტილში იყო გადაღებული.

– ასეთი ფილმები ჩემი საუკეთესო რეკლამაა! ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სერიოზული ფიგურა გახლავართ. მსურს, ნტვ-ს მადლობა გადავუხადო, – თქვა კასიანოვმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მთიან ყარაბაღში კვლავ ისვრიან

2 აპრილს ყარაბაღში მასშტაბური საომარი მოქმედებები განახლდა. მხარეებმა მძიმე ტექნიკა გამოიყენეს. ორივე მხარეს არის მსხვერპლი.

– აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა შეტევაზე გადასვლა ცადეს, – იტყობინება სომხეთის თავდაცვის სამინისტრო.

აზერბაიჯანელები, თავის მხრივ, ამტკიცებენ, შეტევა სომხებმა წამოიწყესო.

ფაქტი ერთია: ამ მასშტაბის საომარი მოქმედებები 1994 წლის შემდეგ არ ყოფილა. დაიღვარა სისხლი. სომხური წყაროები ამტკიცებენ, რომ მოკლულია მთიანი ყარაბაღის 18 მშვიდობიანი მცხოვრები, აქედან ერთ-ერთი 11 წლის მოზარდია.

აზერბაიჯანელების ცნობით, მოკლულია მათი 12 ჯარისკაცი.

გაეროს გენერალურმა მდივანმა მთიან ყარაბაღში ვითარების ესკალაციის გამო შეშფოთება გამოთქვა. მან განაცხადა, რომ მხარეებს მოლაპარაკებისკენ მოუწოდებს.

რადიო „თავისუფლების" ექსპერტ დუბნოვის აზრით, ყარაბაღში ვითარების გამწვავების უკან ვლადიმერ პუტინი დგას. დუბნოვმა ხაზი გაუსვა, რომ სომხეთს (მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სატელიტია) რიგი საკითხებისადმი დამოუკიდებელი მიდგომა გააჩნია. მოსკოვში ეს აღიზიანებთ. მთიან ყარაბაღში ვითარების გამწვავებით პუტინმა სომხებს აგრძნობინა, ჩემზე ხართ დამოკიდებულნი და, თუ თვითნებობას განაგრძობთ, კარგი დღე არ დაგადგებათო. ამას გარდა, პუტინმა დასავლეთსაც გაუგზავნა გზავნილი, პოსტსაბჭოთა სივრცე რუსული გავლენის სფეროა და, თუ ეს სტატუსკვო დაირღვევა, ომის განახლება გარდაუვალიაო.

– დღეს ევროპას ყველაზე მეტად ომისა ეშინია, განსაკუთრებით სირიისა და უკრაინის მოვლენების შემდეგ. პუტინმაც ამაზე ოსტატურად გაითამაშა და ყარაბაღში სისხლიანი სპექტაკლი დადგა, – ამბობს დუბნოვი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ შეშფოთება გამოთქვა მთიან ყარაბაღში საომარი მოქმედებებს განახლების გამო.

მან დაღუპულთა ოჯახებს თანაგრძნობა გამოუცხადა, ხოლო მხარეებს მშვიდობიანი დიალოგისაკენ მოუწოდა.

– მთიანი ყარაბაღის პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტა შეუძლებელია, – თქვა ქერიმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კიმ კარდაშიანმა და ემილი რატაკოვსკიმ სელფი ერთად გადაიღეს

ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა და მოდელმა ემილი რატაკოვსკიმ ერთად გადაიღეს შიშველი სელფი, შემდეგ კი ფოტოსურათები ინსტაგრამში საკუთარ გვერდებზე გამოაქვეყნეს.



– როდესაც ჩვენ ორივეს ჩასაცმელი არაფერი გვაქვს, – მიაწერა გამოქვეყნებულ სურათს კარდაშიანმა.

შეგახსენებთ, რომ მარტში კიმ კარდაშიანმა თავისი შიშველი სელფი გამოაქვეყნა, რომელსაც კომენტარად დაურთო: „როდესაც ჩასაცმელი არ გაქვს". ამ სელფიმ საკმაო ხმაური გამოიწვია ინტერნეტმომხმარებლებს შორის, ხოლო თავად ტელევარსკვლავს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა.

თავის მხრივ, რატაკოვსკიმ სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებულ სურათს მიაწერა: „ჩვენ უფრო მეტი ვართ, ვიდრე უბრალოდ სხეული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამის ან ჩვენი სექსუალურობის უნდა გვრცხვენოდეს".

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".

## ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

## საბერძნეთში თხა ელექტროხაზიდან ჩამოხსნეს

საბერძნეთის სოფელ სუკორიოს მცხოვრებლებმა გადაარჩინეს თხა, რომელიც რქებით ელექტროგადამცემ ხაზს გამოედო და ზედ ჩამოეკიდა. ვიდეოჩანაწერზე, რომელიც ერთ-ერთმა თვითმხილველმა გადაიღო, ჩანს, თუ როგორ ცდილობენ სოფლელები მაღალი კიბითა და თოკით ცხოველის ელექტროგადამცემი ხაზიდან ჩამოხსნას. საბოლოოდ მათ მოახერხეს, თოკი ცხოველის უკანა ფეხზე შემოახვიეს და მავთულზე ნელ-ნელა ქვევით ჩამოაცურეს, შემდეგ კი მიწაზე დაუშვეს.

თხის გადარჩენის ოპერაციის ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე, ერთ-ერთმა თვითმხილველმა ატვირთა. ამ ვიდეორგოლმა უკვე 300 ათასამდე ნახვა მოაგროვა.

## ძაღლმა პატრონს ნახევარი კილოგრამი მარიხუანა მიუტანა

ამერიკის მისისიპის შტატში სეირნობიდან სახლში დაბრუნებულმა ძაღლმა პატრონს ნახევარკილოგრამიანი მარიხუანის პაკეტი მიუტანა. მამაკაცმა ნარკოტიკი ოლქის პოლიციას ჩააბარა.

შინაური ცხოველის პატრონის თქმით, მას თავიდან ეგონა, რომ ძაღლის მიერ სახლში შემოტანილ შეკვრაში ნაგავი იყო, მაგრამ შემდეგ სუნით მიხვდა, რომ პაკეტი ნარკოტიკით იყო სავსე.

სად და როგორ აღმოაჩინა ნარკოტიკით სავსე პაკეტი ძაღლმა, უცნობია. სამართალდამცავებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს.

## რესტლერი პორნომსახიობ მეუღლეზე თავდასხმისთვის დააპატიმრეს

ბრიტანეთის ქალაქ მანგოსტფილდში მცხოვრები პროფესიონალი რესტლერი პორნომსახიობ მეუღლეზე დანით თავდასხმისა და მოკვლის მუქარის გამო დააპატიმრეს. ბრისტოლის სასამართლომ პოუელს 28-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

36 წლის დინ პოუელი დანით ემუქრებოდა 40 წლის მიშელ ტორნის, რომელიც პორნომსახიობად მუშაობს, როდესაც ის კამათის დროს მათი საერთო სახლიდან გაგდებას ცდილობდა. ასევე სპორტსმენმა ამ ჩხუბის დროს თავი ცხვირში დაარტყა პორნოვარსკვლავის მამას, როდესაც ის მოჩხუბარი მეუღლეების გაშველებას ცდილობდა.

სასამართლოში ბრიტანელმა რესტლერმა აღიარა, რომ ცოლს 25 სანტიმეტრი სიგრძის სამზარეულოს დანით ემუქრებოდა. ასევე პოუელმა აღიარა, რომ მისი მხრიდან მსგავს აგრესიას მეუღლის მიმართ ადრეც ჰქონდა ადგილი.

## ბიონსე ელესთვის საცურაო კოსტიუმში გამოეწყო

ცნობილმა მომღერალმა ბიონსემ საცურაო კოსტიუმში გადაიღო ფოტოსურათი ჟურნალ ელეს ამერიკული ვერსიისთვის. ფოტოსურათი მომღერალმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ფოტოსესიისთვის 34 წლის ბიონსემ საცურაო კოსტიუმი თავისი ახალი მოდური სპორტული კოლექციიდან შეარჩია, რომლის გამოსვლაც მან ინსტაგრამში მცირე ხნის წინ დააანონსა. ჟურნალის გარეკანისთვის გადაღებულმა ფოტოსურათმა უკვე 396 ათასზე მეტი მოწონება მიიღო, ხოლო თავად ჟურნალი მიმდინარე წლის მაისში გამოვა.

## ჩინელებმა მიცვალებულის სხეულის ნაწილების ბეჭდვა 3დ პრინტერზე დაიწყეს



ჩინეთის ქალაქ შანხაიში მდებარე დამკრძალავმა ბიურომ 3დ პრინტერის გამოყენება დაიწყო მიცვალებულთა სხეულის დაკარგული ან დამახინჯებული ნაწილების დასაბეჭდად. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური პორტალი ავრცელებს.

ამ ბეჭდვის შედეგად დამკრძალავი ბიურო სხეულის საჭირო ფრაგმენტებთან მსგავსებას 95 პროცენტით აღწევს. პრინტერი მოცემული ზომის და ფორმის ობიექტს შექმნას პლასტიკატის მრავალი ფენის ერთმანეთზე დადებით აღწევს. ბეჭდვა შეიძლება განხორციელდეს 3დ მოდელიდან, ელექტრონული გადამტანიდან ან ორგანზომილებიანი გამოსახულებიდან. ამასთან, მაგალითად, მიცვალებულის სახის აღდგენა 600-780 დოლარი ღირს.

– ნათესავებისთვის მძიმე სანახავია თავიანთი ახლობლის დამახინჯებული სახის ან სხეულის ხილვა და რომელსაც გრიმით ყოველთვის ვერ შეალამაზებ, – განაცხადა დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენელმა ლიუ ფენმინმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲔᲥᲡᲝᲚᲝᲒᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲒᲑᲐᲘᲫᲔ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲙᲣᲠᲜᲐᲕᲡ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲡᲘᲜᲣᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ.
ᲢᲔᲚ: 599-25-50-50.**

# სამტრედიამ მეორე ადგილი გაიმყარა

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**დინამო (ბთ) – დინამო (თბ) 1:2**

0:1 ჯიღაური (29), 1:1 ტვილდიანი (72), 1:2 გურული (88)

**დინამო (ბთ):** ალავიძე, ტვილდიანი, ტეტუნასშვილი, გოგიტიძე, სუხიაშვილი, შონია, ფონიავა, ვარშანიძე, ქავთარაძე (ჭკუასელი 46), თევდორაძე (ბერიაშვილი 77), მაქაცარია (კომაზეცი 46)

**დინამო (თბ):** ჰრდლიჩკა, კაკაბაძე (ჭანტურიშვილი 46), ამისულაშვილი, გველესიანი, თევზაძე (გურული 58), ჭელიძე, პარუნაშვილი, კიტეიშვილი, ჯიღაური, იაშვილი, ქვილითაია (გელაშვილი 77)

მატჩი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და პირველივე წუთზე ლიბორ ჰრდლიჩკას ძლიერი დარტყმულის მოგერიება მოუხდა. თბილისელებმა რამდენიმე წუთში მოახერხეს მოედნის ცენტრში უპირატესობის მოპოვება და საწყის 15 წუთში ოთხჯერ მოწოდეს კუთხური. ცოტა ხანში ალექსანდრე იაშვილმა სახიფათოდ დაარტყა საჯარიმოდან, ბურთი ზემოდან გადასცდა მიხეილ ალავიძის კარს.

მატჩის 29-ე წუთზე დინამოელების შეტევა ლოგიკურად დასრულდა. ჯაბა ჯიღაურმა ზუსტი და ტექნიკური დარტყმით სეზონში მე-12 გოლი გაიტანა მიმდინარე ჩემპიონატში და ანგარიშიც გახსნა.

37-ე წუთზე გიორგი ქვილითაია გადიოდა მეკარესთან პირისპირ, თუმცა ალავიძემ ამ შემთხვევაში დაასწრო ჩვენი გუნდის ფორვარდს და ბურთთან პირველი გაჩნდა. 43-ე წუთზე ზაზა ჭელიძეს შეეძლო უკეთ თამაში თუმცა მის დარტყმულს ძალა დააკლდა. ბოლო წუთებში მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს, მაგრამ უშედეგოდ და ტაიმი დედაქალაქელთა გამარჯვებით დასრულდა.

მეორე ნახევარძი ბათუმელთა რიგებში ნიკოლა კომაზეცი და ბექა ჭკუასელი გამოჩნდნენ, ხოლო თბილისელებმა ოთარ კაკაბაძე ვახო ჭანტურიშვილით ჩაანაცვლეს.

ალექსანდრე იაშვილის მიერ 53-ე წუთზე ჩაწოდებულ კუთხურს გიორგი გველესიანი გზავნიდა კარისკენ, მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა. ცოტა ხანში ვალერიან თევდორაძე შორი მანძილიდან ცდილობდა გატანას – სტუმრები კი ხარიხამ იხსნა.

64-ე წუთზე ისევ თევდორაძის დარტყმული და ლიბორ ჰრდლიჩკამ ბურთი კუთხურზე მოიგერია. 72-ე წუთზე ბათუმელთა შეტევა არჩილ ტვილდიანმა გოლით დაასრულა და ანგარიში 1:1 გახდა.

81-ე წუთზე ალავიძემ ჭანტურიშვილის ძლიერი დარტყმული მოიგერია და გადაარჩინა ბათუმელთა კარი. მომდევნო შეტევაში ალექსანდრე იაშვილის ტექნიკური დარტყმული ასცდა მასპინძელთა კარს.

თბილისელებმა საბოლოოდ მაინც შეძლეს გოლის გატანა, შეცვლაზე შემოსულმა გიორგი გურულმა შორი მანძილიდან გაუტანა ზღვისპირელებს და დაძაბული და სანახაობრივი მატჩი დედაქალაქელთა გამარჯვებით, 2:1 დასრულდა.

მატჩის ბოლო წუთებზე გულშემატკივართა შორის ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

ჩხუბი თამაშის ბოლო წუთებზე დაიწყო და ის სტადიონის გარეთაც გაგრძელდა. დაშავებულები არ არიან. ადგილზე იმყოფებოდნენ სამართალდამცველები, რომლებმაც სიტუაციის განმუხტვის მიზნით რამდენიმე ახალგაზრდა დააკავეს.

3 აპრილს გამართულმა სასამართლომ ისინი პატიმრობიდან გაათავისუფლა.

**საბურთალო – შუქურა 3:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 ფანცულაია (28), 1:1 ურიდია (31), 2:1 ფანცულაია (59), 2:2 აფაქიძე (65), 3:2 ცაცკრიალაშვილი (73)

**საბურთალო:** გოშაძე, იაშვილი, თოთაძე, მამუჩაშვილი, გოშთელიანი (რუხაძე 74), ხარაიშვილი, ფანცულაია, ცაცკრიალაშვილი (ალთუნაშვილი 85), ელვინ ტერა, კოხრეიძე (გვარაძე 58), სოფრომაძე

**შუქურა:** ჯიოევი, ჩალაძე, მალანია (კალანდაძე 72), აფაქიძე, გეგეჭკორი, ბრაჭული, მოსიაშვილი, გეწაძე (კერძევაძე 63), დოლიძე, ლობჯანიძე (ჭანუყვაძე 69), ურიდია

უხვგოლიანი მატჩის მიუხედავად, თამაში დაბალ ტემპში წარიმართა, თუმცა ორივე კართან მრავლად შეიქმნა მომენტები. რამდენჯერმე გაშვებულ გოლს თავისიანები მეკარეებმა გადაარჩინეს.

პირველი ხიფათი სტუმრებმა შექმნეს, როდესაც ვლადიმერ მამუჩაშვილმა ფაქტობრივად ცარიელ კარიდან გამოიტანა ბურთი. ანგარიში კი 28-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც მეტოქე გუნდის საჯარიმოსთან გიორგი ფანცულაიამ და გურამ გოშთელიანმა კედელი გაითამაშეს. ფანცულაია მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, რომელმაც მარცხენა ფეხით ზუსტად დაარტყა.

ზღვისპირელებმა ანგარიში მალევე გაათანაბრეს – რევაზ გეწაძის ძლიერად დარტყმული ძელს მოხვდა, იქიდან გადმოვარდნილი ბურთი კი მერაბ ურიდიას მიუვიდა, რომელმაც ახლო მანძილიდან გაიტანა – 1:1. რამდენიმე წუთში გოშთელიანს მართებდა თავისიანების დაწინაურება, მაგრამ, ერთი ერთზე გასულმა, მეკარეს ვერ აჯობა. ტაიმის მიწურულს ფანცულაიას მიეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა, მაგრამ კვლავ უშეცდომო იყო აზამატ ჯიოევი.

59-ე წუთზე ნოდარ იაშვილის ფლანგური გარღვევის შემდეგ, ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. კუთხე ფანცულაიამ დროულად დაკეტა და დუბლის გახერხებაც შეძლო. სტუმრებმა კვლავ მალე გაათანაბრეს – კუთხურიდან თავური დარტყმით ნიკოლოზ აფაქიძემ ანგარიში საყაიმო გახადა, 2:2.

ბოლო გოლი რატი ცაცკრიალაშვილის იყო, რომელმაც საჯარიმოს სიახლოვიდან ზუსტად დაარტყა – 3:2.

**დილა – სამტრედია 1:2**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 ჯიქია (34), 0:2 რაჟამაშვილი (90), 1:2 წიქარიძე (90)

**დილა:** მუჯრიშვილი, კვირკველია, ბაგაევი, კვახაძე (ქარქუზაშვილი 13), ხურცილავა, წიქარიძე, ძარია, სამხარაძე (საბაძე 74), ჩელებაძე (მოდებაძე 46), ღონღაძე, მარცვალაძე

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, გოგიაშვილი, ცნობილაძე, შერგელაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი (სანდოხაძე 63), ენდელაძე, მარკოზაშვილი, რაჟამაშვილი, ზივზივაძე, დ.ჯიქია (იოსელიანი 69)

ტურის ცენტრალური მატჩი სტუმრებმა მოიგეს და სატურნირო ცხრილში ადგილი განიმტკიცეს.

საინტერესო გამოდგა ბოლო წუთები, როდესაც 2 გოლი გავიდა. რაჟამაშვილმა ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი, რომელსაც წიქარიძე არ შეეგუა და სხვაობა შეამცირა, მაგრამ მასპინძლებს დრო არ ეყოთ.

**ლოკომოტივი – საპოვნელა 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ფოფხაძე, მახარაძე, გეთიაშვილი, ბენაშვილი (მზევაშვილი 84), სულთანიშვილი, დაისამიძე (ჩიხლაძე 77), უბილავა, ცხადაძე, ჩაგელიშვილი, გავაშელიშვილი (არდაზიშსვილი 57)

**საპოვნელა:** სომხიშვილი, ქათამაძე, ჯიხვაძე (ჩიკვილაძე 12), დვალი, ტყეშელაშვილი, ბერუაშვილი (ბუხაიძე 46), ნარიმანიძე, ბოლქვაძე, ენდელაძე, ოდიკაძე, მაკარიძე (ბანძელაძე 70)

